საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 75 (619) სამშაბათი, 13 აპრილი, 1993 წელი ფასი 5 მანეთი

წუხელ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან გვაცნობეს, რომ 8-12 აპრილს აფხაზეთში სიმშვიდე იყო შენარჩუნებული და მასშტაბური საომარი მოქმედება არ ყოფილა. საბრძოლო მოქმედების ზონის სხვადასხვა მონაკვეთში მიმდინარეობდა მხოლოდ უმნიშვნელო ხასიათის პოზიციური ბრძოლები.

10 აპრილს ოჩამჩირის რაიონში შედგა სამხედრო ტყვეთა გაცვლა. რამდენიმე ტყვის სანაცვლოდ მოწინააღმდეგე მხარემ გაათავისუფლა სამი ქართველი სამხედრო პოლიციელი.

იოსებ გობეჩია.

ეთერ ჭყონია — საუკეთესო „ესპანელი“

ახალგაზრდა ქართველი ვოკალისტი ეთერ ჭყონია, ამჟამად ბილბაოს საოპერო თეატრის სოლისტი, უკვე მეოთხედ გახდა ესპანეთის ვოკალისტთა კონკურსის რჩეული. ბარსელონის, პამპლონის, მადრიდის კონკურსებში მოპოვებულ რეგალიებს მან ახლახან მიუმატა ქალაქ ლოგრონიოს კონკურსის პირველი პრემია.

ლოგრონიოს კონკურსი თავს უყრის ხოლმე მხოლოდ ესპანელ ვოკალისტებს. წლეულს აქ 50 მომღერალი შეგროვდა და მხოლოდ ერთი — ეთერ ჭყონია გაერია არაესპანელი. პირობების თანახმად, თითოეულმა მონაწილემ შეასრულა რვა ნაწარმოები: ოთხი არია და ოთხიც სიმღერა მხოლოდ ესპანურ ენაზე.

მაისის დასაწყისში ეთერ ჭყონია ემზადება თბილისის საოპერო სცენაზე გამოსასვლელად. იგი პირველად შეასრულებს ვიოლეტას არიას ოპერა „ტრავიატაში“, შემდეგ კი კვლავ ესპანეთში დაბრუნდება და ბილბაოს თეატრში იმღერებს ჯილდას არიას ვერდის „რიგოლეტოში“.

ესწრაფვიან „მრგვალი მაგიდის“ აღდგენას

ჩვენს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის ანალიზი მოწმობს, რომ ექსპრეზიდენტისა და მისი მხარდამჭერების მოქმედება ხელს აძლევს რუსეთის რეაქციულ ძალებს საქართველოში, რომლებსაც თავიანთი გეგმები აქვთ და მიმართულია რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების უკიდურესად გამწვავებისაკენ. ამაზე მეტყველებს არასახარბიელო მოვლენების განვითარება თბილისში, დესტრუქციული ძალების გააქტიურება საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების პოლიტიკური კურსის წინააღმდეგ. დესტრუქციული ძალების სოციალური ინფრასტრუქტურა საკმაოდ მრავალფეროვანია. მათ სურთ გეგმაზომიერად განახორციელონ დაუმორჩილებლობის პოლიტიკა. საიდუმლო ვითარებაში ესწრაფვიან „მრგვალი მაგიდის“ აღდგენას. ამაზე არსებობს ექსპრეზიდენტის უშუალო მითითება. პრეზიდენტყოფილის მომხრეთა მოქმედებები თანდათანობით უფრო რადიკალურ ხასიათს იღებს — აპრილისათვის დაგეგმილია მათი გააქტიურება. მათი მიზანია მიტინგებსა და სხვა აქციებს მისცენ სისტემატური ხასიათი, რაც უნდა დასრულდეს დროებითი ხელისუფლების მოსვლით სახელმწიფოს სათავეში. განზრახული აქვთ, აქცენტი გადაიტანონ ქვეყნის რთულ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე, რითაც სურთ მოიპოვონ დასაყრდენი ფართო მასებში.

კონტაქტი.

ამ დღეებში

გვაცნობიებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

ედუარდ შევარდნაძე კიევში

გულთბილად შეხვდა უკრაინის დედაქალაქი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს, რომელიც აქ ჩამოვიდა ოფიციალურ ვიზიტად.

დელეგაციის შემადგენლობაში რომელსაც ბატონი ედუარდ შევარდნაძე მეთაურობს, შედიან რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი თ. სიგუა, ამ სამინისტროებისა და უწყებათა ხელმძღვანელები, რომლებმაც ხელი უნდა მოაწერონ ხელშეკრულებებისა და შეთანხმებათა მთელ პაკეტს, ორი ქვეყნის თანამშრომლობის პრაქტიკულად ყველა სფეროს რომ მოიცავენ.

საქართველოსა და უკრაინის რესპუბლიკების სახელმწიფო დროშებით მორთულ კიევის „ბორისპოლის“ აეროპორტში ედუარდ შევარდნაძეს დახვდნენ უკრაინის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვასილ დურდინეცი, სხვა ოფიციალური პირნი, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ეროვნულ კაბებში გამოწყობილმა გოგონებმა სტუმრებს მიართვეს ყვავილები, ტრადიციული უკრაინული პური და მარილი. შემდეგ ედუარდ შევარდნაძე და საქართველოს დელეგაციის წევრები საპატიო ესკორტის თანხლებით გაემართნენ მათთვის გამოყოფილ რეზიდენციაში.

რამდენიმე ხნის შემდეგ მარიინეს სასახლის წინ შედგა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის შეხვედრა უკრაინის პრეზიდენტ ლეონიდ კრავჩუკთან.

ჟღერდა ორი ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნები. ედუარდ შევარდნაძემ და ლეონიდ კრავჩუკმა ჩაუარეს საპატიო ყარაულის რიგებს. შემდეგ მათ წინ საზეიმო მარშით ჩაიარეს სამი გვარეობის ჯარების წარმომადგენლებმა.

მარინეს სასახლის ცისფერ დარბაზში გაიმართა უკრაინის პრეზიდენტისა და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის საუბარი პირისპირ. მოლაპარაკება გაგრძელდა გაფართოებული შემადგენლობით სასახლის მწვანე დარბაზში. მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ საქართველოს მხრიდან ედუარდ შევარდნაძე, პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა, საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე, პარლამენტის სპიკერის მოადგილე ვახტანგ რჩეულიშვილი, სხვა ოფიციალური პირნი, უკრაინის მხრიდან — ლეონიდ კრავჩუკი, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვასილ დურდინეცი, ვიცე პრემიერ-მინისტრი ვიქტორ პინზენიკი, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ნიკოლოზ მაკარევიჩი და სხვა ოფიციალური პირები.

ვარაუდობენ, რომ 13 აპრილს ხელს მოაწერენ უკრაინა-საქართველოს ყოვლისმომცველ ხელშეკრულებას, ორი სახელმწიფოს თანამშრომლობის სხვადასხვა სფეროს ოცამდე შეთანხმებას, რომლებმაც სამართლებრივი საფუძველი უნდა ჩაუყარონ უკრაინისა და საქართველოს თვისებრივად ახალ ურთიერთობას.

ე. ედიბერიძე,
საქინფორმის კორ.

სურათზე: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძისა და უკრაინის პრეზიდენტ ლეონიდ კრავჩუკის შეხვედრა.

საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტის სერგო ედიშერაშვილის ტელეფოტო (მიღებულია სატელეფონო კავშირით).

ჩვენი მეგობარი უკრაინა

თანამედროვე კონტაქტების გზები არასოდეს არ შეიძლება მოეწყოს ისტორიული პროცესების მიმდინარეობის წინამორბედი ეტაპების გაუთვალისწინებლად. ისტორიული გამოცდილებისა და ცოდნის პრაქტიკული დანიშნულებით გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

საქართველოსა და უკრაინის სახელმწიფოებრივი ურთიერთობის გზაზე ახალი ეტაპი იწყება. ჯერ კიდევ საბჭოთა იმპერიის რღვევისა და დამოუკიდებლობის აღდგენის წინა პერიოდში, 1990 წლის 30 ნოემბერს, უკრაინის დედაქალაქ კიევში, საქართველოსა და უკრაინის რესპუბლიკათა მთავრობის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას 1991-1995 წლებში ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ. ამ თვალსაზრისით საქართველოსა და უკრაინის კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის ღრმად შესწავლასა და გაანალიზებას, მომავალ ურთიერთთანამშრომლობასა და ურთიერთგაგებას განსაკუთრებული როლი ენიჭება.

კეთილმეზობლობა

ქართველი და უკრაინელი ხალხების ისტორიულ ურთიერთობას საწყისი ფესვები შორეულ წარსულში უდევს, რის შესახებაც ძალზედ მდიდარი და მრავალფეროვანი საინტერესო მასალა მოგვეპოვება.

მატიანეთა მოწმობით ამ ორი ხალხის ერთმანეთთან გაცნობა-დაახლოება X-XI საუკუნეების მიჯნაზე უნდა მომხდარიყო. ამ დროისათვის ვითარდებოდა მაღალი ეკონომიკური და კულტურული დონის მქონე კიევის სამთავროსა და საქართველოს ურთიერთობა, სადაც გადამწყვეტი როლი პოლიტიკურ, სამხედრო და რელიგიურ ფაქტორებს უნდა შეესრულებინა.

საქართველოსა და უკრაინის ურთიერთობა ისტორიულ ვითარებასთან დაკავშირებით იცვლებოდა, თუმცა ქართველი და უკრაინელი მოღვაწენი რთული ისტორიული წარსულის მიუხედავად მაინც ახერხებდნენ ახლო და ჯანსაღი კავშირები ჰქონოდათ ერთმანეთში.

კიევის მღვიმეთა მონასტრის მამათა ცხოვრების კრებულში დაცულია ცნობა, სადაც საუბარია კიევის ლავრის მთავარი ტაძრის აგებაზე და აღნიშნულია, რომ ამ ძეგლის ასაგებად მოწვეულ პირთა შორის ქართველებიც იყვნენ.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოს უდიდეს მეფის დავით აღმაშენებელს სწორი ინფორმაცია ჰქონია ჩრდილოეთით მიმდინარე პროცესების შესახებ. კიევის სახელმწიფოს გაერთიანებული ძალები რომ სისტემატურად უტევდნენ ყივჩაღთა ტომებს, ეს საქართველოში ცნობილი ყოფილა და ყივჩაღთა გადმოსახლების დავითისეული გეგმა ამ სწორ ინფორმაციაზე იყო აგებული.

(დასასრული მე-2 გვ.).



ნომერში

- ბანდიტები მცირე ხნით მიყუჩდნენ. 2
- ესპანელებს გააოცებდათ რობერტ სტურუას სცენის პოეტიკა. 4

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

პოლკოვნიკ ლ. კიკნაძის მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში შეტანილი წვლილისათვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის თავმჯდომარის მოადგილე პოლკოვნიკი ლევან კიკნაძე დაჯილდოვდეს მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“.

ე. შევარდნაძე.

თბილისი, 31 მარტი, 1993 წელი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისათვის 1993 წლის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების უფლების დელეგირების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს უფლება დაამტკიცოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების 1993 წლის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა და განახორციელოს მათი პრივატიზება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა წელიწადში ორჯერ მოახსენოს პარლამენტს პრივატიზების მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 6 აპრილი.

უილიამ კლინტონის წერილი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი საქართველოში კენტ ბრაუნი. ელჩმა სახელმწიფოს მეთაურს გადასცა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის უილიამ კლინტონის წერილი, რომელშიც იგი მადლობას უხდის ედუარდ შევარდნაძეს კავკასიასა და რუსეთში მიმდინარე პროცესების შესახებ მოსაზრებათა კონსტრუქციული გაზიარებისათვის. შეერთებული შტატების პრეზიდენტი იზიარებს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის შეშფოთებას ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შექმნილი არასტაბილური, რთული მდგომარეობის გამო.

„გეთანხმებით იმაში, — ნათქვამია წერილში, — რომ ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ თქვენს რეგიონში სიმშვიდის დამყარების აუცილებელი პირობების შექმნისა და სტაბილური, დემოკრატიული მსოფლიოს აშენებისათვის“.

ბატონი კლინტონი მიესალმება საქართველოს ხელმძღვანელობის აქტიურ ძალისხმევას მეზობელ ქვეყნებთან კონსტრუქციულ ურთიერთობათა დამყარებისათვის და ქვეყნის შიგნით დემოკრატიული რეფორმების განხორციელებისათვის. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ცალსახად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. პრეზიდენტი წერს, რომ იგი შეშფოთებულია აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების გამო და ეთანხმება ბატონ ედუარდ შევარდნაძის მიერ არაერთგზის გაკეთებულ განცხადებებს იმის თაობაზე, რომ კონფლიქტი მხოლოდ და მხოლოდ მოლაპარაკების გზით უნდა მოგვარდეს. წერილში, კერძოდ, ნათქვამია: „მე ეს საკითხი დავაყენე პრეზიდენტ ელცინის წინაშე ვანკუვერში. ხაზი გავუსვი იმას, თუ რაოდენ გვაწუხებს დაძაბულობის გამწვავება საქართველოსა და რუსეთს შორის“.

„როგორც მოგეხსენებათ, — წერს შემდეგ ბატონი კლინტონი, — ჩვენ მხარს ვუჭერთ პრეზიდენტ ელცინის მტკიცე გადაწყვეტილებას განაგრძოს დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების პროცესი“. პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ რუსეთში, სხვა ახალგაზრდა დამოუკიდებელ სახელმწიფოებში მხოლოდ ამ რეფორმათა განხორციელებით შეიძლება სტაბილურობის მიღწევა.

პრეზიდენტი გამოთქვამს კმაყოფილებას იმის გამო, რომ საქართველოს აქვს კარგი ურთიერთობა ამერიკის საელჩოსთან. წერილის ბოლოს კი დასძენს: „სიამოვნებით მოველი შეხვედრას თქვენთან და საუბარს თქვენს წერილში წამოჭრილ საკითხებზე, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო თემებზე“.

ჰელმუტ კოლის წერილი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო გერმანიის კანცლერის ჰელმუტ კოლის წერილი.

ბატონი კოლი წერს, რომ გერმანიის ფედერალური მთავრობა, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, მიზნად ისახავს განამტკიცოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის, როგორც საქართველოში სტაბილურობის, თავისუფლებისა და დემოკრატიის გარანტის პოზიციები.

ამიტომ გერმანიამ, მთელ რიგ სხვა სახელმწიფოებთან ერთად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიაში შეიტანა რეზოლუცია, რომელიც ერთსულოვნად მიიღეს 1993 წლის 10 მარტს. ეს რეზოლუცია მხარს უჭერს საქართველოს მეთაურის პოლიტიკას და სთავაზობს დახმარებას ჩვენი რესპუბლიკის მთავრობას დემოკრატიულ სტრუქტურათა შექმნაში.

საქართველოსათვის ჰუმანური დახმარების გაწევის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოწოდების პასუხად, გერმანიამ უსასყიდლოდ გადმოგვცა დიდძალი მედიკამენტი. როგორც ბატონმა კოლმა აღნიშნა, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მიერ აღწერილი კონფლიქტი კავკასიაში და რუსეთის როლი ამ რეგიონში თვით მასაც აწუხებს.

წერილში, კერძოდ, ნათქვამია: „მე შევეხე ამ თემას პრეზიდენტ ელცინთან მოსკოვში 3 მარტს გამართული საუბრისას. თავის მხრივ, ფედერალურმა მინისტრმა კინკელმა სთხოვა თავის რუს კოლეგას კოზირევს ყველაფერი ეღონა იმისათვის, რათა თავიდან აეცილებინა კრიზისის გამწვავება, იმედი მაქვს, რომ საბოლოო გამარჯვება კეთილგონიერ ძალებს დარჩება“.

წერილის ბოლოს ბატონი ჰელმუტ კოლი გამოთქვამს კმაყოფილებას იმის თაობაზე, რომ ივნისის დამლევს ბონში შეხვდება ბატონ ედუარდ შევარდნაძეს. გერმანიის კანცლერი მოელის ახალ იმპულსებს გერმანია-საქართველოს ურთიერთობაში.

ქრონიკა

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით მერაბ კაკულია დაინიშნა საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე პრეზიდენტად.

აფეთქება მაჩაბლის ქუჩაზე

საქინფორმის კორესპონდენტს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში აცნობეს, რომ 12 აპრილს, შუადღისას, მაჩაბლის ქუჩა 9-ში, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის შტაბ-ბინაში მოხდა აფეთქება. აფეთქების შედეგად დაზიანდა ერთ-ერთი სამუშაო ოთახი და ჭერი. საბედნიეროდ, მსხვერპლი არ არის.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

გულიკო მარკოზაშვილი.

კულუარებში

დაგვიანებული რეპორტაჟები „ქემჩუქინიდან“

საქართველო-რუსეთის 6-9 აპრილის მოლაპარაკების კვალზე

1. თეთრი ბაირაღები

6 აპრილს საქართველო-რუსეთის მოლაპარაკების პირველი პლენარული სხდომის შემდეგ ბატონი თენგიზ სიგუა ბლიც-ინტერვიუში მეტყვის — ასეთი „თეთრი მტრედის“ როლში პავლე გრაჩოვი არ მინახავს.

მართლა ასე იყო და ასეც ვუთხარი, როდესაც გრაჩოვთან პირისპირ აღმოვჩნდი პირველივე შესვენების პირველსავე წუთებში. რუსეთის პირველმა სამხედრო პირმა, სოჭში დელეგაციის მეთაურმა „აბა, რა გეგონა“ ტონში მიპასუხა:

— თქვენ რა, ფიქრობდით, რომ მე ვილაც აგრესორი ვარ?

— ვფიქრობდით!

დაძაბული პაუზა. აშკარად არ ესიამოვნა. არ ვიცი, არ მოელოდა ასეთ პასუხს, არ ვიცი, სხვაგვარად უნდა მეთქვა. ამიტომ მკვახედ:

— ეს, ალბათ, საქართველოს ტელევიზიაა? — შეკითხვა უფრო დადასტურებაა, ჩანს, არ მოსდის „კარგი ამბები“ საქართველოს ტელევიზიის შესახებ მინისტრს. მაგრამ მე საქართველოს ტელევიზიიდან არ ვარ აკრედიტებული ამ მოლაპარაკებაზე და სანამ ვუპასუხებ, რომ არა, კოკა ყანდიაშვილი, „ვესტის“ კორესპონდენტი საქართველოში, ჩაერთვება:

— რუსეთის ტელევიზია, „ვესტი“.

— რაა? რუსეთის ტელევიზია, „ვესტი“ ასე ფიქრობს? — „გაუკვირდა“ ის სიტყვა არ არის, რომელმაც მისი იმწამიერი ემოციების მთელი სპექტრისა და ხარისხის გამოხატვა შეძლოს.

უცებ ჩაჭრა პავლე გრაჩოვი:

— ფიქრობს, რომ ასეთი ვარ?— Такоой? გააგრძელა ეს სიტყვა ნირწამხდარმა, მაგრამ მცირე იმედით, რომ კოკა გაუქარვებდა ეჭვს.

— იცით, ასე ვფიქრობთ, — უპასუხა ჩემმა ახალგაზრდა კოლეგამ.

(დასასრული მე-2 გვ.).

სურათზე: შეხვედრის ოქმის ხელისმოწერის დროს.

ვანო შამანაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ძირეული საკითხები უმაღლესი დონის შეხვედრაზე გადაწყდება

რუსეთ-საქართველოს სოჭის შეხვედრის გამო ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ საქინფორმის კორესპონდენტს უთხრა:

— ჩემი აზრით, ეს შეხვედრა სასარგებლო იყო, თუმცა, მიღწეული შეთანხმებებით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი არა ვარ.

მოლაპარაკების დაწყებამდეც დიდ იმედებს არ ვამყარებდი იმაზე, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში მოხდებოდა რადიკალური გარღვევა. დღევანდელ ეტაპზე რუსეთსა და საქართველოს შორის იმდენად რთული ურთიერთობაა, განსაკუთრებით აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით, რომ ერთი და ორი შეხვედრით ძნელია მიიღო არსებითი ხასიათის გადაწყვეტილებები.

მე ვფიქრობ, რომ ამ შეხვედრამ ნიადაგი მოამზადა სამხედრო ექსპერტების, ეკონომისტების მუშაობისათვის, სხვადასხვა პოლიტიკური ასპექტების, მათ შორის რუსეთ-საქართველოს საზღვრის, ჯარის გაყვანისა და მისი სტატუსის პრობლემების მოგვარებისათვის.

სამუშაო ჯგუფების მუშაობის დროს უნდა მომზადდეს საბოლოო გადაწყვეტილებების შესაძლო ვარიანტები, ყველაზე პრინციპულ და ძირეულ საკითხებზე, ალბათ, უმაღლესი დონის შეხვედრაზე მოვილაპარაკებთ.

— ბატონო ედუარდ, თუ არის მიღწეული შეთანხმება თქვენსა და ბატონ ელცინს შორის შეხვედრისა და მოლაპარაკების თაობაზე?

— ასეთი შეთანხმება ჯერჯერობით მიღწეული არ არის, თუმცა, სოჭში ორივე მხარემ გამოკვეთილად აღნიშნა, რომ უმაღლესი დონის შეხვედრა არათუ სასურველი, არამედ აუცილებელი და გარდაუვალია.

იმის გამო, რომ რუსეთში რეფერენდუმია მოსალოდნელი, ჯერ გარკვევით, უახლოეს მომავალში ელცინს შეხვედრის საშუალება ექნება თუ არა. ჩემი სამუშაო გრაფიკიც ისეა მოწყობილი (უკრაინაში ვიზიტი და სხვა.), რომ, ალბათ, ასეთი შეხვედრის გამართვა ჯერჯერობით შეუძლებელი იქნება.

— სოჭის მოლაპარაკების დაწყებამდე, მისი მიმდინარეობის დროს, ან შემდეგ ხომ არ გქონიათ სატელეფონო საუბარი რუსეთის პრეზიდენტთან?

— არა, არც სატელეფონო საუბარს, არც სხვა კონტაქტებს ადგილი არ ჰქონია.

რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკება

9 აპრილს 16 საათზე რუსეთის ფედერაციის დელეგაციამ თავდაცვის მინისტრის პავლე გრაჩოვის მეთაურობით და საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციამ პრემიერ-მინისტრის თენგიზ სიგუას მეთაურობით ხელი მოაწერეს რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკების ოქმს.

მხარეებმა, ცდილობენ რა ბოლო მოუღონ გაჭიანურებულ სისხლისღვრას, გადადგან კონსტრუქციული ნაბიჯი აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების მიღწევის გზაზე მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის შემაჯამებელი დოკუმენტის დებულებათა შესაბამისად, მტკიცედ განაცხადეს, რომ უცილობლად, მთლიანად და ყოველგვარი წინასწარი პირობების დაუთქმელად უნდა შეწყდეს ცეცხლი, აიკრძალოს ძალის ნებისმიერი გამოყენება, რაც დასაბამს მისცემს გარდამავალ პერიოდს, რომლის დროსაც განხორციელდება ურთიერთნდობის ღონისძიებათა კომპლექსი.

ვითარების მოწესრიგება ითვალისწინებს კონფლიქტის მონაწილე მხარეთა ვალდებულებებს არ განაახლონ ცეცხლი პირველებმა, ხელი აიღონ შეტევითს მოქმედებაზე, სამხედრო ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობაზე.

განახლებული და გაძლიერებული შემადგენლობით, — ნათქვამია ოქმში, — საქმიანობას განაახლებს აფხაზეთში კონტროლის და ინსპექციის კომისია, რომელშიც შევლენ საქართველოს, აფხაზეთისა და რუსეთის ხელისუფლების ორგანოების მიერ დანიშნული წარმომადგენლები. კომისია უზრუნველყოფს ცეცხლის შეწყვეტისა და სხვა იმ ფუნქციების დაცვას, რომლებიც შესაბამისი დებულებით განისაზღვრება.

კომისიასთან იქნება სპეციალური ჯგუფი, რომელიც გადაწყვეტს ლტოლვილთა დაბრუნების, მიღებისა და დაბინავების საკითხებს. შემდეგ ოქმში ნათქვამია: რუსეთის მხარე აცხადებს, რომ მზად არის ვითარების მოწესრიგების ყველა საკითხი განიხილოს აფხაზეთის წარმომადგენლებთან. მათთან ერთად, კერძოდ, დამუშავდება ეშერის რაიონში 24 ლაბორატორიის სეისმური და სხვა სამეცნიერო მოწყობილობის კონსერვაციის წინადადებანი. ლაბორატორიის ზონა ცენტრიდან 200 მეტრი რადიუსით, რომელიც 1250 კვადრატულ მეტრს შეადგენს, აკრძალულ ზონად ცხადდება და მას დაიცავენ საინჟინრო და სამხედრო-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით. რუსეთის მხარეს მიაჩნია, რომ ამ ზონაში უსაფრთხოება, აგრეთვე უნდა უზრუნველყონ რუსეთის, საქართველოსა და აფხაზეთის ერთობლივმა კონტინგენტმა, რომლის რიცხვიც შეთანხმებული იქნება.

საქართველოს მხარის აზრით, უნდა გავიდეს რუსეთის ქვეგანაყოფის პირადი შემადგენლობა, რომელიც სეისმურ ლაბორატორიას იცავს საომარი მოქმედების ზონაში. მხარეები ვალდებულებას კისრულობენ კონფლიქტში არ გამოიყენონ შეტევითი მიზნებით ლაბორატორიის მიმდებარე ზონა.

ოქმში ხაზგასმულია, რომ ეს და სხვა პრობლემები მოითხოვს, დეტალურად განიხილონ საქართველოს, აფხაზეთისა და რუსეთის წარმომადგენლებმა აფხაზეთის ვითარების მოწესრიგების შესახებ მოლაპარაკებაზე, რათა მომზადდეს უმაღლესი დონის ახალი შეხვედრა 1992 წლის 3 სექტემბრის შემაჯამებელი დოკუმენტის ფარგლებში.

რუსეთისა და საქართველოს მხარეებმა განაცხადეს, რომ საჭიროა უფრო აქტიურად გამოიყენონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შესაძლებლობანი ვითარების მოწესრიგების მიღწევისათვის. ოქმში ხაზგასმულია, რომ მოლაპარაკების დროს დადასტურდა წინათ მიღწეული მორიგებანი იმის შესახებ, რომ რუსეთის ჯარები საქართველოს რესპუბლიკაში დარჩებიან 1995 წლის დამლევამდე და რუსეთის ტერიტორიაზე გაიყვანენ გრაფიკის შესაბამისად 1995 წლის 31 დეკემბრისათვის, თუ მხარეები არ გამოთქვამენ ურთიერთდაინტერესებას განაგრძონ სამხედრო თანამშრომლობა. სასაზღვრო ჯარები საქართველოს დატოვებენ 1994 წლის დამლევამდე.

განსახილველად გამოტანილ მთელ რიგ საკითხებზე შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა მიღება ვერ მოხერხდა. მათ შორის არის გუდაუთაში რუსეთის სამხედრო დაჯგუფების ყოფნის საკითხი. ამ და სხვა საკითხებზე კონსულტაციები და მოლაპარაკება გაგრძელდება.

ოქმის ხელმოწერის შემდეგ თენგიზ სიგუამ ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს მოლაპარაკება მიაჩნია ორი სახელმწიფოს მეთაურთა უმაღლესი დონის შეხვედრის მომზადებად.

— იმედი მაქვს, რომ ასე თანდათანობით წავიწევთ წინ. ჩვენ მოვაწესრიგებთ კონფლიქტს აფხაზეთში. ეს მოწესრიგების პირველი ნაბიჯია.

პავლე გრაჩოვი დაეთანხმა ამ აზრს და დასძინა, რომ ეს არის პირველი ნაბიჯი მომავალი შეხვედრის გზაზე ამ და უფრო მაღალ დონეზეც.

— ჩვენი მუშაობის მთავარი მიზანი ის არის, — თქვა მან, — რომ სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრაზე ხელმოწერილ იქნეს კონკრეტული შეთანხმებანი და არა ოქმები. ეს დოკუმენტი ერთგვარი მოხსენებაა ჩვენი სახელმწიფოთა მეთაურებისადმი კრიზისის დაძლევის პრაქტიკულ ღონისძიებათა დაწყების შესახებ. იგი იმის მაგალითია, რომ ორივე მხარე ეცდება სადავო საკითხები გადაწყვიტოს მშვიდობიანი გზით.

გალინა ჩიქოვანი,
ვლადიმერ თავაძე.

ერთობის დღე, გლოვის დღე

9 აპრილი, საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე, რომელიც ამიერიდან ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა ხსოვნის დღედ გამოცხადდა, ბუნებრივია, ზეიმურიც იყო და ნაღვლიანიც.

თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ქართველი ხალხის ბრძოლის გრძელი გზა აღსავსე იყო ეროვნული თვითშეგნების აღმაფრენითაც და ამ ბრძოლაში უდროოდ დაღუპულთა გმირობითაც, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე მამულის სამსხვერპლოზე მიიტანეს. ოთხი წლის წინათ აპრილის ღამე საქართველოს არა მარტო ტრაგედიად შემოუტრიალდა, არამედ მან საბოლოოდ დაამკვიდრა ადამიანთა შეგნებაში თავისუფლების მისწრაფება, რომელსაც უკვე ველარ შეაჩერებდა ვერავითარი ძალა. იმ ღამეს დაღუპულებმა თითქოსდა გააცისკროვნეს მთავარი მიზნის გარშემო მთელი ხალხის გაერთიანების გზა.

9 აპრილს ნაშუადღევს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე მივიდა მთავრობის სახლის მოედანზე, სადაც ოთხი წლის წინათ ტრაგედია დატრიალდა. მასთან ერთად იყვნენ პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე, პარლამენტარები, ქალაქ თბილისის მერი კონსტანტინე გაბაშვილი, მინისტრები, უწყებათა ხელმძღვანელები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. მათ წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი დაღუპულ თანამემამულეთა ხსოვნას. საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა რესპუბლიკის სახალხო არტისტის ჯემალ ჭკუასელის ხელმძღვანელობით შეასრულა „სვანური ზარი", რის შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ ყვავილებით შეამკო აქ დადგმული მემორიალური დაფა. რამდენიმე წუთის შემდეგ ეს ადგილი გაზაფხულის ყვავილთა ფიანდაზით დაიფარა. ადამიანები აქ მოდიოდნენ უწყვეტ ნაკადად, პატივს მიაგებდნენ იმათ ნათელ ხსოვნას, ვინც თავისი სიცოცხლით შუქურსავით გააპო ტოტალიტარული რეჟიმის წყვდიადი.

იმავე დღეს ედუარდ შევარდნაძე და მისი თანმხლები პირნი მივიდნენ 1989 წლის ტრაგიკული 9 აპრილის მსხვერპლთა საფლავებზე და ყვავილებით შეამკეს.

• • •

აღნიშნეს რა ეს დღე, ექს-პრეზიდენტის მომხრეებმა თბილისში სახელმწიფო ფილარმონიის მოედანზე გამართეს მიტინგი. აქედან რამდენიმე ათასმა მანიფესტანტმა ჩაიარა რუსთაველის პროსპექტზე, გაიძახოდნენ ექს-პრეზიდენტის სახელს და მოითხოვდნენ ახლანდელ ხელისუფალთა გადადგომას. მთავრობის სახლის წინ მსვლელობა შეჩერდა, მისმა მონაწილეებმა ყვავილებით შეამკეს ტრაგედიის ადგილი, აანთეს სანთლები. გაიმართა ხანმოკლე მიტინგი, რომლის შემდეგ მანიფესტანტებმა სვლა დაამთავრეს თავისუფლების მოედანზე.

საქინფორმი.

●

სურათებზე: რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე — საქართველოს სახელმწიფოს მეთაური **ედუარდ შევარდნაძე** ყვავილებით ამკობს წმინდა ადგილს, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს 9 აპრილის მსხვერპლთა ხსოვნას; 9 აპრილის მსხვერპლთა ხსოვნისათვის პატივის მისაგებად მოვიდა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი **კენტ ბრაუნი** მეუღლითურთ.

ზონდო დვალიშვილისა და გიორგი ცაგარელის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დაგვიანებული რეპორტაჟები „ქემჩუჟინიდან"

(დასასრული)

რაღა გავაგრძელო, როცა გასაგრძელებელი არაფერია. პავლე გრაჩოვმა ჩაილაპარაკა, სტუმრები უნდა გავაცილო, ინტერვიუზე მერე შევთანხმდეთო, და გავეცალა.

...5 წუთის შემდეგ იგი ტელეკამერის წინ იდგა და ესაუბრებოდა რუსლან ხაშიგს, გუდაუთის ტელესტუდიის ხელმძღვანელსა და „ნოვოსტის" საკუთარ კორესპონდენტს.

●

მანამდე კი იყო პლენარული სხდომა, რომელზეც სასიამოვნო სიურპრიზად წარმოჩნდა რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელის პავლე გრაჩოვის საქართველოსადმი ლოიალური დამოკიდებულება და საერთო პრობლემების გაგებისა და აუცილებელი გადაწყვეტისათვის მზადყოფნა.

ასეთმა კეთილგანწყობილმა პოზიციამ პირველი შეხვედრის დაძაბულობა თანდათან დააცხრო და დელეგაციათა ხელმძღვანელების შესავალი სიტყვების შემდეგ, შეიძლება ითქვას, თავისუფალი, ძალდაუტანებელი, ერთგვარად გულითადობის ატმოსფერო შექმნა. იყო, ცხადია, გარკვეული სიმწვავეც, მაგრამ იმასაც ურთიერთგაგების სურვილი აწესრიგებდა.

შტრიხები ამ საუბრის პორტრეტისათვის.

გრაჩოვის სიტყვაში გამოიკვეთა, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოუგვარებლობა რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობის რეგულირებას შეუშლის ხელს. ეს იყო ანარეკლი რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს ცნობილი პოზიციისა, რომლის შედეგებს კატასტროფულად განვიცდით დღეს.

თავიდანვე ჩიხი? აფხაზეთის საკითხი უცებ ვერ გადაწყდება, მაშასადამე, ისევ გაჭირდება?

თენგიზ სიგუას მომენტალური რეაქცია იყო, რომ ჩვენ მზად ვართ დღესვე გადავწყვიტოთ აფხაზეთის კონფლიქტი მშვიდობიანი გზით 1992 წლის 3 სექტემბრის ხელშეკრულების საფუძველზე.

აქვე: საჭიროა იმ წინააღმდეგობის მოხსნა, რომელსაც რუსეთის არმიის ნაწილები ქმნიან კონფლიქტში თავიანთი მონაწილეობით.

გრაჩოვის პასუხი — საკმაოდ მოულოდნელი: უარი უნდა ვთქვათ ურთიერთ საყვედურებზე, და ყველაფერი ვიღონოთ მოლაპარაკების ისე დასამთავრებლად, რომ მან ხელი შეუწყოს უმაღლეს დონეზე ჩვენი ორი ქვეყნის ხელმძღვანელთა შეხვედრის შედეგიანად ჩატარებას.

ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი თანახმაა, იმედს გამოთქვამს, რომ 6 აპრილი საქართველოსა და რუსეთის პოზიციების დამთხვევის თარიღად იქცევა.

სწორედ ამ დროს იტყვის გრაჩოვი, რომ აფხაზეთი საქართველოს შემადგენელი ნაწილია, რომ რუსეთს არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს სხვა მოსაზრება საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის აღიარებისა და არსებული საზღვრების ხელშეუხებლობის გარდა.

— არაერთხელ გამაკრიტიკეს ჩემი მკაცრი გამონათქვამების გამო, — ამბობს პავლე გრაჩოვი ისე, თითქოს იბოდიშებს (უფრო ფაქტის კონსტატაციაა) და წინადადებას წამოაყენებს, რომ მოლაპარაკების მსვლელობის პერიოდში შეწყდეს ცეცხლი გუმისთაზეც, ოჩამჩირეშიც.

თენგიზ კიტოვანი: — ჩვენ მივეცით ასეთი მითითება ჩვენს ნაწილებს.

პავლე გრაჩოვი: — როგორც ჩვენ ვიტყვით, ისე იქნება.

არ ვიცი, ეგებ მომეჩვენა, მაგრამ ეს რეპლიკა ისე გავიგე, როგორც გასაგები იყო — გრაჩოვი გასცემს ბრძანებას და სროლა ჩვენი მოწინააღმდეგის მხრიდან შეწყდება. ვინ გვესვრის? ის, ვინც უშუალოდ მას ემორჩილება? მაშინ, გამოდის, რომ რუსეთის ჯარის ნაწილები ომობენ ჩვენს წინააღმდეგ. აფხაზები? მაშინ გამოდის, რომ აფხაზი სეპარატისტები რუსი გენერლების ხელმძღვანელობით იბრძვიან.

საინტერესო სიტუაციაა. ეგებ, აქ ღირდა წერტილის დასმა, დაფიქსირება ამ უნებური აღიარების, ამ „კოზირების", სხვა თემაზე საუბრის გადატანა? მით უფრო, რომ ამას წინ უძღოდა მინისტრის განცხადება: — ჩვენი ჯარის ნაწილებს ნაბრძანები აქვთ არ ჩაერიონ კონფლიქტში და, რამდენადაც ვიცი (მიაქციეთ ყურადღება — „რამდენადაც ვიცი" და არა კატეგორიული უარყოფა — არ ერევიან), ისინი ზუსტად ასრულებენ ამ ბრძანებას.

აქვე იმის თქმაც აუცილებელია, რომ არც თენგიზ სიგუა, არც ჯაბა იოსელიანი გრაჩოვის ამ „რბილ" განცხადებას არ დაეთანხმნენ და განაცხადეს, რომ ჩვენს მხარეს ხელთ აქვს ფაქტები, რომლებიც სრულიად საწინააღმდეგოს ამტკიცებს.

აი, ამ ფონზე წამოსცდა რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელს — ვუბრძანებო.

არშემჩნევა და დაფიქსირება ჯობდა ამ მომენტის, თუ პირიქით — სწორედაც აქცენტირება, გამოკვეთა, გამოჩენა შავის და თეთრის?

არ ვიცი.

მაგრამ გრაჩოვი მიხვდა, რომ ვერ მოზომა და ამიტომ თენგიზ კიტოვანის თითქოს უმნიშვნელო რეპლიკას — ჩვენს მხარეს მე ვუბრძანებ, სხვებს — თქვენო, სასწრაფოდ, ნახევრად ხუმრობით შეაგება:

— ავანტიურული პასუხისაკენ ნუ მიბიძგებ, ისე გამოგყავს, თითქოს აფხაზები ჩემი ბრძანებით მოქმედებენ.

ჯაბა იოსელიანი: — კეთილი, რუსეთის ჯარებს თქვენ უბრძანებთ, მაგრამ აფხაზებს ვინ მიუთითებს?

გრაჩოვი კითხვას ფაქტობრივად არ უპასუხებს და ამბობს, რომ მისი ბრძანებით რუსეთის ჯარები არ უპასუხებენ, თუ ჩვენები ლაბორატორიას ესვრიან. იმ მომენტში მზად არ აღმოჩნდა პასუხისათვის.

ბატონი ჯაბა ისევ ეკითხება: — ჩვენს მიერ სროლის შეწყვეტით შეიძლება ისარგებლოს აფხაზეთის მხარემ ისევე, როგორც გაგრაში მოხდა, როდესაც 200 მხედრიონელი ასეთივე შეთანხმების შედეგად გამოვიდა ამ ქალაქიდან და მერე ყველამ იცის, რა ტრაგედიაც იქ დატრიალდა.

გრაჩოვმა იპოვა პასუხი: — მე დავუკავშირდები არძინბას და წინადადებას მივცემ შეწყვიტოს საომარი მოქმედება. მგონია, რომ შევძლებთ აფხაზეთის მხარის დარწმუნებას, თუ თქვენი თანხმობაც იქნება.

— ვთქვათ, როგორც თქვენ ამბობთ, დაგვყაბულდნენ აფხაზები, მაშინ ვინ მოგვცემს გარანტიას, რომ არ ისარგებლებენ ამ მდგომარეობით და არ გამოიყენებენ მას სამხედრო ნაწილების გადასაადგილებლად? ჩვენ გვაქვს ამის გამოცდილება, როდესაც იდენტური სიტუაცია ჩრდილოეთიდან შეიარაღებული ბანდების შემოყვანისთვის გამოიყენეს. — ეს ისევ ჯაბა იოსელიანია.

გრაჩოვს კვლავ არა აქვს მზიდ პასუხი და დელეგაციის ერთ-ერთი წევრი იტყვის, ეს საკითხი სამუშაო პირობებში განვიხილოთო.

ცეცხლის შეწყვეტის საკითხი გადაწყდა: შეთანხმდნენ, რომ არ უპასუხებენ შესაძლო პროვოკაციებს, ვისი მხრიდანაც უნდა იყოს.

—თენგიზ კალისტრატოვიჩ, — მიმართა თენგიზ კიტოვანს პავლე გრაჩოვმა, — დიდი ხანია გიცნობ და ამიტომ მოგმართავ შენობით. პირდაპირ გეტყვი, თუ ამის შემდეგ მაინც დაბომბავ ჩვენს სამხედრო ლაბორატორიას ეშერაში ან ჩვენს სპეციალურ ბატალიონს, ჩვენ არ გიპასუხებთ...

— ასეთი რამ არ მოხდება, — თქვა თენგიზ კიტოვანმა.

პ. გრაჩოვი: — გულდასაწყვეტია, რომ ყველაფერი, რაც გვაკავშირებდა, დავშალეთ, დავარღვიეთ. ხალხი ამისთვის პასუხს მოგვთხოვს.

თ. სიგუა: — მართალია, მოგვკითხავს ხალხი შეცდომებისათვის.

აქ ბატონი გრაჩოვი ცნობილი არგუმენტით (ჯარების დასავლეთ ჯგუფში რომ ჩავდივარ ინსპექტირებისათვის, ხომ არ ვაფრთხილებ ბატონ კოლს და ნებართვას არ ვითხოვ მისგან?), მაგრამ უფრო მობოდიშებით უბრუნდება აფხაზეთში (გუდაუთაში) და აჭარაში თავის ამაწინანდელ ვიზიტს. ამბობს, რომ უაღრესი პატივისცემითაა გამსჭვალული ბატონ ედუარდ შევარდნაძისადმი, აღიარებს, რომ ამ რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში, ეგებ, მართლაც საჭირო იყო მასთან შეთანხმებინა საქართველოში ჩემი ჩამოსვლაო.

ჯაბა იოსელიანმა უთხრა, რომ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ სთხოვა მას გადაეცა ბატონ პავლე გრაჩოვისათვის თბილისში ჩამოსვლის მოპატიჟება.

პ. გრაჩოვი: — თუ იქნება ოფიციალური მოწვევა, რატომაც არ ჩამოვალ!

ჯ. იოსელიანი: — ჩათვალეთ, ეს ჩემი სიტყვები ოფიციალურ მოწვევად.

თ. სიგუა: — ვიმუშაოთ ისე, რომ ვადამდე დავამთავროთ ეს ჩვენი შეხვედრა და ერთად ჩავიდეთ თბილისში.

გრაჩოვი ეთანხმება.

ჯ. იოსელიანი: — დელეგაციების შემადგენლობა ისეთი დონის და ისეთი წარმომადგენლობითია, რომ ურთიერთგაგების და კეთილი ნების პირობებში სავსებით შესაძლებელია ყველა საკითხის ოპერატიულად გადაწყვეტა.

პ. გრაჩოვი: — ჩვენ მართლაც ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ჩვენი ქვეყნების ხელმძღვანელებს მივცეთ საშუალება საქართველოსა და რუსეთისათვის სასარგებლო და სასურველი შედეგებით დაამთავრონ უმაღლესი დონის შეხვედრა.

ჯ. იოსელიანი: — მიმაჩნია, რომ ბრძნული გადაწყვეტილებაა თქვენი ამ დელეგაციის ხელმძღვანელად დანიშვნა: ვისი წინადადებით იყო?

ბორის პასტუხოვი: — კომპლიმენტისთვის მადლობა უნდა გითხრათ, ჩვენი პრეზიდენტის სახელით.

პ. გრაჩოვი: — დიახ, პრეზიდენტის წინადადება იყო. ალბათ იმიტომ (აგრძელებს ხუმრობის კილოთი), რომ თქვენები ყველაზე მეტად მე მაკრიტიკებდნენ. მეც სწორედ ამიტომ შევთავაზე ჩემი კანდიდატურა. მან გადაწყვიტა.

თ. კიტოვანი: — მით უფრო, რომ მე და თქვენ ბრიუსელში ასე მოვილაპარაკეთ.

პ. გრაჩოვი: — ჩვენი პირადი კარგი ურთიერთობა ასეთსავე საზოგადოებრივ დამოკიდებულებად რომ ვაქციოთ, ახლა ესაა მთავარი.

ბატონი თენგიზ სიგუა იმედს გამოთქვამს, რომ მოლაპარაკება ასეთი განწყობილების ფონზე კონსტრუქციულად წარიმართება.

●

იმედიანად დაიწყო პირველი სამუშაო დღე სოჭში, სასტუმრო „ქემჩუჟინაში".

თეთრი სუფრები, თეთრი ბაირაღებივით ეფინა სხდომათა დარბაზში „კარედ" მოწყობილ მაგიდებს.

ასე ჩანდა დამსწრესათვის.

მონაწილისათვის?

ბატონ თენგიზ კიტოვანთან პირად კარგ დამოკიდებულებას რამდენჯერმე გაუსვა ხაზი რუსეთის თავდაცვის მინისტრმა.

— ბატონო თენგიზ, ირკვევა, რომ ბრიუსელში ყოფნისას თქვენ შეგითავაზებიათ გრაჩოვისათვის რუსეთის დელეგაციის მეთაურობა, როგორ იყო ეს?

— ჩვეულებრივი შეხვედრის დროს. თავისთავად ჩამოვარდა საუბარი იმაზე, რომ ბოლოს და ბოლოს აფხაზეთის ომი უნდა დამთავრდეს და მაშინ ყველა დანარჩენი საკითხიც მოწესრიგდება. მთელი სამხედრო ძალა კი, მოგეხსენებათ, გრაჩოვის ხელშია. სამხედრო ძალა იბრძვის და ომის შეწყვეტა-არშეწყვეტის საქმეში მან უნდა თქვას გადამწყვეტი სიტყვა. ბრიუსელში სხვა პრობლემებზეც ვისაუბრეთ. ხომ გაიგონეთ, როგორ ლაპარაკობდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე. ადრე რას ამბობდა, ისიც გახსომებათ. რუსეთის დელეგაციის ახლანდელი პოზიცია — საქართველოს საზღვრების ხელშეუხებლობა, ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტი და ასე შემდეგ — დღეს უკვე დაფიქსირებულია... ყველაფერი ის სხვისგან უფრო კარგი მოსასმენია.

— ეტყობა, შედეგიანად გიმუშავიათ, რადგან ის, რასაც აქამდე ამბობდა და ის, რაც დღეს თქვა, სხვადასხვა კაცის ნათქვამს უფრო გავს.

კიტოვანი იცინის:

— იცით რა, ისიც არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ საკმაოდ არასწორი ინფორმაცია მიჰქონდათ მასთან. ჩვენთანაც, სამწუხაროდ, ასე ხდება. ამხელა ქვეყნის — რუსეთის გაკონტროლება ძალიან ძნელია. და ნუ გამოვრიცხავთ ადამიანურ ფაქტორსაც, პიროვნულ გაღიზიანებას. შეიძლება ესეც იყოს.

— აფხაზეთიდან რუსეთის ჯარის ამოსაყვანად საქართველოში, ვაზიანში გადმოყვანის შესახებ წინადადებაზე უფრო სრული ინფორმაცია ხომ შეიძლება? ეს საკითხი პარლამენტშიც დაისვა.

— არ უნდა ყოფილიყო ჯერ ამის შესახებ ლაპარაკი პარლამენტში. აქ ხვალ ბევრი აქვთ სალაპარაკოც და გასაკეთებელიც — რამდენი კანონია მისაღები! სამხედრო საქმეზე ქვეყნის გასაგონად ლაპარაკი დემოკრატიას კი არ ნიშნავს, არამედ იმას, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, როგორ უნდა ქვეყნის მართვა, საჯაროდ რა უნდა განვიხილოთ, და რა —არა. ეს, უპირველეს ყოვლისა, სამხედრო საკითხებს ეხება.

●

მოლაპარაკების პირველი პლენარული სხდომა ერთგვარი მოსინჯვაა პოზიციების, განწყობილების. დიპლომატების ენაზე ამას „მორგება" ჰქვია.

ეს „მორგება" თითქოს სრულია, ანუ (უფრო ფრთხილად) იმედის საფუძველი შეიძლება იყოს. ასე ფიქრობს ჩვენი დელეგაციის მეთაური თენგიზ სიგუა?

— მეც ასეთი შთაბეჭდილება მაქვს. დღეს საკმაოდ ლოიალურად წარიმართა პირველი პლენარული სხდომა, მთავარია, შევთანხმდით დღის წესრიგზე, რადგან იყო საშიშროება, რომ რუსეთის დელეგაცია უარს იტყოდა სავაჭრო, ეკონომიკურ, საბანკო, საფინანსო შეთანხმებებზე. მაგრამ ჩვენი წინადადებით ეს საკითხი მესამე პუნქტად შეიტანეს და ხვალ სემინარულ სხდომაზე სპეციალურ სექციაში ამ პრობლემებზე იქნება მსჯელობა. მაგრამ აქ არის ერთი მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა. თუ გახსოვთ, 1992 წლის 25 სექტემბერს რუსეთის პარლამენტმა მიიღო დადგენილება აფხაზეთის საკითხის გადაჭრამდე საქართველოსთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ. რუსეთის დელეგაციას შევთავაზე ივალდებულოს და უახლოეს პერიოდში თავისი პარლამენტის წინაშე დააყენოს საკითხი ამ ვეტოს გაუქმებაზე. ჩემი წინადადება მიიღეს.

დღეს, როგორც ნახეთ, პირველ საკითხად ჩვენმა დელეგაციამ აფხაზეთიდან რუსეთის არმიის ნაწილების გამოყვანა დააყენა. ხვალ ჩვენი სამხედრო ექსპერტები რუს კოლეგებთან ერთად ამ პრობლემებზე იმუშავებენ, უპირველეს ყოვლისა, ქვემო ეშერიდან სამხედრო დანაყოფის გამოყვანაზე.

ვფიქრობ, მნიშვნელოვანი აქცია განხორციელდა დღეს, როდესაც შევთანხმდით, რომ მოლაპარაკების დღეებში შეწყდება საომარი მოქმედება აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე.

— ღმერთმა ქნას, მერეც ასე გაგრძელდეს.

— თუ ასე გაგრძელდება, ეს იმ მიზანთან დაახლოება იქნება, რომლისთვისაც ჩვენ ყველა ვიბრძვით.

— გრაჩოვის პოზიციის რადიკალური შეცვლა რისი შედეგი უნდა იყოს, ბატონო თენგიზ? მაინც რომელი გრაჩოვია ნამდვილი — ის, რომელიც ადრე დაუფარავად ლაპარაკობდა რუსეთის სტრატეგიულ ინტერესების უპირატესობაზე, თუ ის, რომელიც დღეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და მის შინაურ საქმეებში ჩაურევლობაზე ლაპარაკობს? იქნებ აქ გამომგზავრებამდე რუსეთის პრეზიდენტთან მისი საუბრის შედეგია ამჟამინდელი პოზიცია?

— ძნელია დაბეჯითებით რაიმეს თქმა, მაგრამ ასეთი „თეთრი მტრედის" როლში მე პირველად ვხედავ გენერალ გრაჩოვს. თქვენც დარწმუნდით, ალბათ, რა ლოიალურად იყო ჩვენდამი განწყობილი, ყველა ჩვენი წინადადება მიიღო, ადრე კი გაგონებაც არ სურდა.

●

„ქემჩუჟინაში", ორიოდ წლის წინათ ქართველებისთვის ამ ყველაზე პრესტიჟულ სასტუმროში ისევ ქართველებისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხი წყდება, საკითხი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისა, რომელიც ორივე მხარის მაქსიმალისტების (და ასე შემდეგ) მცდელობით ნორმალური სახელმწიფოებრივი ურთიერთობის სიბრტყიდან ვინ-ვის მოერევას ორბიტაზე აიტყორცნა.

ახლა ისევ ციდან მიწაზე ჩამოსვლა გახდა საჭირო.

არმაზ სანებლიძე.
სოჭი-თბილისი.

●

სურათებზე: ბატონი თენგიზ სიგუა ინტერვიუს აძლევს რუსლან ხაშიგს; პავლე გრაჩოვი მოლაპარაკების პირველ დღეს; ქართველი სამხედრო ექსპერტები.

ვანო შამანაძის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

რესპუბლიკის სახელმწიფო სპეციალიზებული ბანკების ხელმძღვანელთა თათბირი

ამა წლის 8 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერის, ეკონომიკური რეფორმის შტაბის ხელმძღვანელის რომან გოცირიძის თავმჯდომარეობით გაიმართა რესპუბლიკის სახელმწიფო სპეციალიზებული ბანკების ხელმძღვანელთა თათბირი.

ბატონმა რომან გოცირიძემ თათბირის მონაწილეებს გააცნო საქართველოს და სამანეთო ზონის ქვეყნების საფინანსო-საბანკო სისტემებში ბოლო დროს მომხდარი არსებითი ცვლილებები. ხაზგასმით აღინიშნა, რომ შექმნილ პირობებში საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა იძენს ბანკების მიერ მკაცრი საკრედიტო პოლიტიკის გატარება, რაც ქართული კუპონის კურსის გამყარების მძლავრი ბერკეტია, ამდენად, ბანკებმა ამიერიდან მაინც განუხრელად უნდა დაიცვან საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონები „ფულად-საკრედიტო რეგულირების" და „საბანკო საქმიანობის შესახებ", რომლებიც ბანკების საწესდებო კაპიტალის შესაბამისად განსაზღვრავს მათი საკრედიტო რესურსების ზღვრულ ოდენობას. ამასთან აუცილებელია, რომ ყოველი კრედიტი გაიცეს მხოლოდ მკაცრი დაბრუნების პირობით.

თათბირზე მთავარი ყურადღება დაეთმო სახელმწიფო ბანკების აქციონირების პროცესის დაწყების დაჩქარებასა და ბანკების მიერ გაცემული კრედიტების სახელმწიფოსათვის დაბრუნების მექანიზმის უმოკლეს ვადაში შემუშავებისა და ამოქმედების აუცილებლობას.

შალომ დავიდი:

„განვავითაროთ ქართველებისა და ებრაელების თანაცხოვრების ტრადიციები"

პესახის დღესასწაულთან დაკავშირებით საქართველოში სტუმრად იმყოფება ისრაელის ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ებრაულ კანონიკურ ლოცვათა კრებულის ქართულ ენაზე მთარგმნელი და ისრაელის ებრაული კულტურის ცენტრის თავმჯდომარე შალომ დავიდი (დავითაშვილი).

9 აპრილს ბატონი შალომ დავიდი მიიღო საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ბატონმა ვახტანგ გოგუაძემ. გაიმართა გულითადი საუბარი ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა შესახებ.

— ჩემი ჩამოსვლის მიზანი ის არის, — თქვა ჩვენთან საუბარში ბატონმა შალომ დავიდმა, — რომ ხელი შევუწყოთ ქართველ ებრაელთა შორის ეროვნული თვითშეგნების გაღრმავებას, რამეთუ მიგვაჩნია, რომ მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი კიდევ უფრო გავაფართოოთ ურთიერთგაგება ქართველებსა და ებრაელებს შორის, უკეთ დავიცვათ და განვავითაროთ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების უნიკალური ტრადიციები.

ბატონმა შალომ დავიდმა შეხვედრის დროს ბატონ ვახტანგ გოგუაძეს საჩუქრად გადასცა ძვირფასად გამოცემული ებრაულ კანონიკურ ლოცვათა კრებული, რომლის ქართულ ენაზე მთარგმნელი, წინასიტყვაობის ავტორი და გამომცემელიც თვითონ არის.

ებრაელი სტუმარი სამშობლოში სამშაბათს მიემგზავრება.

საქინფორმი.

ჩვენი მეგობარი უკრაინა

(დასასრული)

მოგვეპოვება ისტორიული ცნობები იმის შესახებაც, რომ კიევის მთავარს იზიასლავს 1153 წელს დავით აღმაშენებლის შვილის დიმიტრი მეფის ოჯახიდან წაუყვანია კიევში სადედოფლოდ, აღნიშნული ქორწინება იმის მაჩვენებელია, რომ კიევის მთავარი და მისი კარისკაცები საქართველოს იცნობდნენ როგორც იმ დროის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოს. ურთიერთობას აძლიერებდა ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სარწმუნოებაც, რომელსაც აღიარებდნენ ქართველი და უკრაინელი ხალხები. იმ პერიოდის კონკრეტულ ისტორიულ ურთიერთობას ქართველ და უკრაინელ ხალხებს შორის ლახვარი ჩასცა XIII საუკუნეში მონღოლთა ურდოების გამოჩენამ კულტურული ხალხების ჰორიზონტზე. საქართველოს შავი ზღვის სანაპიროებსა და დნეპრისპირეთს შორის მიმოსვლა შეაფერხა თურქეთის მიერ ბიზანტიის განადგურებამ XV საუკუნეში და თურქეთის გასვლამ შავ ზღვაზე.

დნეპრელმა კაზაკებმა XVII საუკუნის დასაწყისში თურქების რკალი გაარღვიეს შავ ზღვაზე, რის შედეგადაც ზღვაზე გასულ უკრაინელ კაზაკებს ერთგულ მოკავშირეებად ქართული სამეფო-სამთავროები უნდა ეგულვათ და ამდენად ქართველებთან კავშირის გაბმა თვით მათი ინტერესებიდან გამომდინარე უნდა ყოფილიყო. ამ მხრივ მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის იტალიელი მოგზაური პიეტრო დელა ვალე. მის აღმოსავლეთისაკენ მოგზაურობის აღწერილობაში საგანგებოდ არის მოთხრობილი დნეპრელი კაზაკების ქართველებთან ურთიერთობის ამბავი.

1654 წელს უკრაინა რუსეთთან გაერთიანდა, ცნობილია, რომ საქართველოს მეფის თეიმურაზ I სცოდნია უკრაინის რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლა.

ქართველმა მეფემ და პოეტმა არჩილმა თარგმნა პირველად უკრაინელი მწერლისა და მოაზროვნის პეტრე მოგილას ცნობილი ნაწარმოები „კატეხიზმო", რომელსაც ქართულად „სამნაწილიანი სწავლანი" ეწოდება. ვახტანგ VI რუსეთში ყოფნის დროს შეეცადა ამ ნაწარმოების გამოცემას, მაგრამ უშედეგოდ.

XVIII საუკუნეში უკრაინული თემა პირველად დავით გურამიშვილმა შემოიტანა ქართულ მწერლობაში. უკრაინა დავით გურამიშვილთან ერთად მეორე სამშობლოდ იქცა XVIII საუკუნის მოწინავე ქართველებს — განგებლიძეთა ოჯახს. ამავე ხანებში პ. შალიკაშვილი და ნ. დადიანი უკრაინის აღწერილობას ადგენენ და ცალკე წიგნად ავრცელებენ ქართველთა წრეებში.

XVIII საუკუნის 40-იან წლებში უკრაინაში შეიქმნა ქართული დასახლება. ქართული ჰუსართა პოლკის მებრძოლებმა მიიღეს მიწის ნაკვეთები პოლტავის, მირგოროდის, ლუბენსკის და პრილუკსკის მიდამოებში.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასახლება ქართველთა რაოდენობის მხრივ იყო მირგოროდში, სადაც დავით გურამიშვილის გარდა ცხოვრობდნენ: ზაალ ხერხეულიძე, დავით ჩხარიძე, პაპუნა ბეჟანოვი, იაკობ ოდიშელიძე, ნიკოლოზ ხაჭაპურიძე, აბრამ კობიევი, კაცურა ინასარიძე თავიანთი ოჯახის წევრებითა და მოსამსახურეებით.

XIX საუკუნეში საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, საქართველო და უკრაინა რუსეთის ახალი ცხოვრების ორბიტაში მოექცნენ და ერთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესში ჩაებნენ. ქართველი საზოგადო მოღვაწენი უშუალო ურთიერთობაში იყვნენ უკრაინელ მოღვაწეებთან. ამ მხრივ საინტერესო ფურცელს წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის თანამშრომლობა ცნობილ უკრაინელ მეცნიერთან დიმიტრი ივანეს ძე ბაგალეისთან. ილიას მუხანათურმა მკვლელობამ შეაშფოთა უკრაინის საზოგადოებრიობა. მეორე დღესვე გაზეთმა „რადამ" გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც მწუხარებით აუწყა მკითხველს საქართველოს დიდი შვილის დაღუპვა.

აღსანიშნავია აგრეთვე აკაკი წერეთლის ურთიერთობა დიდ უკრაინელ მოღვაწესთან ტარას შევჩენკოსთან, რომელსაც აკაკი წერეთელი შეხვედრია პროფესორ ნიკოლოზ კოსტომაროვთან და იმ პირველი შეხვედრისთანავე ტარას შევჩენკოს წარუშლელი შთაბეჭდილება დაუტოვებია მასზე. სწორედ ამ დიდი პატივისცემის შედეგი იყო ის ფაქტი, რომ აკაკი წერეთელი 1914 წელს მგზნებარე სიტყვით გამოსულა ტარას შევჩენკოს შესახებ.

უკრაინის სხვადასხვა ქალაქებში იღებდა განათლებას ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა, უკრაინის სახელგანთქმულ უნივერსიტეტებში მრავალი ქართველი სპეციალისტი აღიზარდა. დიდ ინტერესს იწვევდა ხარკოვში, კიევში, ოდესაში და ფეოდოსიაში მოწყობილი „კავკასიური საღამოები", რომლებიც 1894 წლიდან მოყოლებული 1917 წლამდე ძალზედ ხშირად იმართებოდა ქართველი, უკრაინელი, რუსი, აზერბაიჯანელი და სომეხი ინტელიგენციის მონაწილეობით, ხოლო 1899 წლის 5 თებერვალს კიევში მელიტონ ბალანჩივაძის თაოსნობით პირველი ქართული საღამოც გაიმართა, რაც არა ერთხელ გამეორდა უკრაინის სხვა ქალაქებშიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოშიც არა ერთი გამოჩენილი უკრაინელი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა აღნიშნულ პერიოდში. ამ მხრივ გამორჩეულია ღირსია უკრაინელი პოეტი ქალი ლესია უკრაინკა, ცნობილი მათემატიკოსი და პედაგოგი, ტარას შევჩენკოს თანამებრძოლი მიკოლა გულაკი და ნიჭიერი მოღვაწე ალექსანდრე ნავროცკი.

1918 წლის 26 მაისს საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა და ამ სახით არსებობდა 1921 წლის 25 თებერვლამდე. უკრაინის ტერიტორიაზე კი სამოქალაქო ომის ცეცხლი გაჩაღდა, რაც სახელმწიფოებრივი ურთიერთობებისათვის ძალზედ არასტაბილურ მდგომარეობას ქმნიდა, თუმცა ურთიერთობები იმ პერიოდშიც არსებობდა და თვით სამოქალაქო ომშიც მრავალი ქართველი იღებდა მონაწილეობას. მძლავრი ურთიერთობანი გაიბა საქართველოსა და უკრაინის რესპუბლიკებს შორის საბჭოთა წყობილების პირველივე წლებიდანაც.

1922 წლის 11 თებერვალს კიევში ჩამოყალიბდა და რეგისტრაციაში იქნა გატარებული ქართველთა სასოფლო-სამეურნეო შრომითი არტელი, რომელსაც სათავეში ედგა კონსტანტინე ჭუბაბრია.

1925 წელს კიევში არსებულა „აღმოსავლეთის ხალხთა სახლი", რომელშიც გაერთიანებულნი იყვნენ ქართველი, სომეხი, ასირიელი, აზერბაიჯანელი, თურქი და ირანელი მოსახლეები, აღნიშნული სახლი ეწეოდა ფართო კულტურულ მუშაობას 20-იანი წლების დასაწყისში. მოგვეპოვება ცნობები, რომ იმ პერიოდში კიევში 500-მდე ქართველს უცხოვრია.

კეთილმეზობლობა

1923 წლის 22 მაისს ხარკოვში უკრაინის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებული იქნა დადგენილება საქართველოში ქალაქ გორში მიწისძვრის შედეგად დანგრეულის აღდგენისათვის დახმარების ფონდის შექმნის თაობაზე. უკრაინელი სპეციალისტები 30-იან წლებში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს ინდუსტრიულ განვითარებაში, უკრაინელების დახმარებით ქართველმა მეშახტეებმა აითვისეს რთული აპარატურა და დანერგეს იგი. უკრაინელი მშრომელები ეხმარებოდნენ ქართველებს ინდუსტრიული ქალაქის რუსთავის მშენებლობაშიც.

ფართო მასშტაბით წარიმართა საქართველოსა და უკრაინის სოფლის მეურნეობის მუშაკთა ურთიერთობაც, რისი მკაფიო მაგალითია უკრაინის ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის სოფელ როვნოს და საქართველოს მაშინდელი მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობების მშრომელთა შეჯიბრება, რომელიც შემდგომ ამ რაიონების კოლმეურნეთა შეჯიბრებაში გადაიზარდა.

დამყარდა ფართო კულტურული ურთიერთობაც, რომელიც გამოირჩეოდა მრავალმხრივობითა და მასშტაბურობით. 1931 წელს საქართველოში ჩატარებულმა უკრაინის კულტურის პირველმა დეკადამ ძალზე დიდი როლი შეასრულა ამ ორი ერის დაახლოების საქმეში. მეტად შთამბეჭდავი იყო 1937 წელს შოთა რუსთაველის საიუბილეო დღესასწაული უკრაინაში. უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ უკრაინელმა პოეტმა მიკოლა ბაჟანმა უკრაინულ ენაზე ბრწყინვალედ თარგმნა უკვდავი „ვეფხისტყაოსანი". მჭიდრო კავშირები იქმნებოდა განათლებისა და მეცნიერების დარგშიც, მაგალითად, 1934 წლის ნოემბერში ამიერკავკასიაში მოეწყო უკრაინული მედიცინის დეკადა, რომელიც დაიწყო თბილისში, შემდგომ გაგრძელდა ბაქოსა და ერევანში.

1936 წლის მაისში უკრაინაში საპასუხო ვიზიტით გაემგზავრნენ ამიერკავკასიის მეცნიერებიც, მათ რიცხვში იყვნენ ქართველი პროფესორები: ალადაშვილი, თაკანაძე, მუხაძე, ღამბარაშვილი და სხვები.

1941-45 წლებში საბჭოთა კავშირში მიმდინარე სამამულო ომის პერიოდში უკრაინის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში მრავალი ქართველი მეომარი იღებდა მონაწილეობას და მრავალმა მათგანმა სამუდამო სამარე უკრაინაში ჰპოვა, ხოლო ქართველი მშრომელები ზურგიდან მატერიალურ და მორალურ დახმარებას არ აკლებდნენ უკრაინის რესპუბლიკასა და მის ხალხს.

ომის დამთავრების შემდგომ ქართველი და უკრაინელი ხალხები კვლავ ახალი შემართებით აგებდნენ ახალ ურთიერთობებს. უფრო მეტად გაფართოვდა და სისტემატური გახდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკურ-კულტურული კავშირები.

1956-1957 წლებში ფართოდ გაიშალა სამრეწველო საქონლის ურთიერთგაცვლა.

1964 წლის სექტემბერში საქართველოში მიმდინარეობდა უკრაინის ლიტერატურის დეკადა, რომლის მონაწილენი დაჯილდოვდნენ საქართველოს საპატიო ჯილდოებით.

1969 წლის მაისში უკრაინაში ჩატარდა საქართველოს ლიტერატურის დეკადა და სამეცნიერო სესია ქართველ და უკრაინელ ხალხებს შორის ისტორიული ურთიერთობის შესახებ.

1971 წელს საქართველოში ფართოდ აღინიშნა ლესია უკრაინკას 100 წლისთავი. აღნიშნული იქნა აგრეთვე სხვა მრავალი ღირსშესანიშნავი თარიღიც.

ქართველ და უკრაინელ ხალხებს შორის საერთო ცხოვრების წესისათვის საოცრად დამახასიათებელი თანადგომა და დახმარება კარგად გამოიკვეთა ჩერნობილის ტრაგედიის დროს 1986 წელს, როდესაც საქართველომ ყოველნაირი დახმარება გაუწია უკრაინელ მეგობრებს, კიდევ ერთხელ ფართოდ გაუღო გულისა და სახლის კარები.

უკრაინელებიც შესძრა ამ რამდენიმე წლის წინათ საქართველოში სტიქიით დატრიალებულმა უბედურებამ. დიდი დახმარება გაუწიეს ქართველებს ქალაქ კიევის, ხერსონის, პოლტავის და სხვა ქალაქების მშრომელებმა, ცალკეულმა ადამიანებმა.

ჩვენი საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ქართველი და უკრაინელი ხალხები სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გზას დაადგნენ, რასაც თან თავისი სიძნელეებიც ახლავს, თუმცა ქართველ და უკრაინელ ხალხებს შორის არსებული ურთიერთობა ისტორიულ საფუძველზეა აგებული, დღესაც ფართო მასშტაბებით ვითარდება და შემდგომშიაც ახალ გზებს გაიკვლევს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ღირსეული მომავლისაკენ.

დავით სანდოძე,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს პარლამენტის დემოკრატიული ამშენებლობისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ერთი შეკითხვა უპასუხოდ

უტრანსპორტობამ ძალიან შეგვაწუხა, კოოპერატივებმა სული ამოგვხადეს. ყოველდღე ძვირდება მგზავრობა, ისე გამოვიდა, რომ მარჩენალი სოფელი მოწყდა ქალაქს. დასავლეთ საქართველოსკენ მიმავალ ტრანსპორტზე განსაკუთრებით დიდი გაჭირვებაა. მაგალითად სამტრედიის მარშრუტზე კოოპერატივი 1500 მანეთს გვთხოვს, ქუთაისისაზე — 1000, ბათუმისაზე — 3000, ზესტაფონისაზე — 1000 და ზოგჯერ მეტსაც. გვწერენ ბ. პაპაბაძე, ნ. მანჯგალაძე, პ. ლორთქიფანიძე, ი. დიასამიძე და სხვები.

ეს წერილები ჩვენ გადავეცანით დიდუბის ავტოსადგურის უფროსს **ვანო მოლაძეს**. აი, რა გვითხრა მან.

— ამ რეისებს დიზელის საწვავზე მომუშავე მანქანები ემსახურება, გასაგები მიზეზის გამო საწვავის დეფიციტს განვიცდით. ომმა უმწვავესი პრობლემები დაჩრდილა. უჭირს სახელმწიფოს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მშვიდობიანი მოსახლეობის მოთხოვნები უყურადღებოდ რჩება.

ავტოტრანსპორტის დეპარტამენტმა ახლახან მოახერხა ფასების ერთგვარი რეგულირება, შეიქმნა კონკურენცია გაეწია კოოპერატივებისათვის და ცოტაოდენი შეღავათი მიეცა მგზავრებისთვის. მაგალითად სამტრედიამდე 1500-ის ნაცვლად ბილეთის ფასი 900 მანეთი გახდა, ქუთაისამდე — 800, ზესტაფონამდე 700, ბათუმამდე — 1500.

ამგვარად, ავტოტრანსპორტის დეპარტამენტმა, როგორც ჩვენ გავიგეთ, გადადგა პირველი ნაბიჯები სასიკეთო ცვლილებებისაკენ.

ჩვენს გასაჭირზე

რატომ ფერხდება ტრანსპორტის მუშაობა?

რედაქციაში შემოსულ მრავალრიცხოვანი წერილებისა და შეკითხვების უმრავლესობა ტრანსპორტის პრობლემას ეხება. მკითხველები გვთხოვენ, გარკვევით და ამომწურავად ვისაუბროთ ამ საკითხის ირგვლივ. ამიტომ რამდენიმე კითხვით მივმართეთ თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების უფროსის პირველ მოადგილეს თენგიზ მაზრაკველიძეს.

— უპირველესად, — აღნიშნა მან, — დიდი შეფერხებებია დიზელის საწვავის მომარაგების საკითხში. 1991 წლის 24 დეკემბრიდან ბენზინით მომუშავე ტრანსპორტმა მხოლოდ თვე-ნახევარს იმუშავა. მწვავე დეფიციტს განვიცდით სათადარიგო ნაწილების მომარაგებაშიც. ორ წელზე მეტია, რაც ქალაქის სატრანსპორტო გაერთიანებას არ მიუღია არც ერთი ახალი მოძრავი შემადგენლობა (ავტობუსი, ტრამვაი, ტროლეიბუსი).

— რატომ აღარ მუშაობს ტრანსპორტი დაახლოებით 21 საათის შემდეგ?

— დაბნელების შემდეგ, კრიმინოგენული სიტუაციების გამო, ტრანსპორტის მოძრაობა ძალიან ჭირს, ფულის გამოძალვის მიზნით, ხშირია შემთხვევები თავდასხმებისა როგორც ავტობუსის, ასევე საზოგადოებრივი ელექტროტრანსპორტის მძღოლებზე. თავს ესხმიან ჩვენს დაქვემდებარებაში მყოფ საწარმოებსაც, ძარცვავენ ძვირადღირებულ მოძრავ შემადგენლობებს. ხშირია შემთხვევები ავტობუსების, მიკროავტობუსებისა და სხვა საზოგადოებრივი ტრანსპორტის გატაცებისა.

მიუხედავად არაერთი თხოვნისა, დღემდე მოუგვარებელია სპილენძის საკონტაქტო ქსელების დაცვაც.

აღსანიშნავია, რომ შარშანდელთან შედარებით ელექტრომომარაგების მხრივ უკეთესი მდგომარეობაა, მაგრამ ქალაქის სხვადასხვა უბნებში მაინც არის გამორთვის შემთხვევები — გარკვეულწილად ესეც აფერხებს ტრანსპორტის ნორმალურ მუშაობას.

ქალაქის მერიამ აღგვითქვა დახმარება ზოგიერთ მარშრუტზე უსაფრთხოების დაცვაში, რაც ნაწილობრივ მაინც უზრუნველყოფდა ტრანსპორტის მუშაობას გვიანობამდე.

— არის შემთხვევები, როცა ტრანსპორტის ერთი და იგივე ნომერი ჯგუფ-ჯგუფად მოძრაობს, რა არის ამის მიზეზი?

— ეს გამოწვეულია მოძრავი შემადგენლობის მეტისმეტი გადატვირთვით. ვფიქრობთ, მუშაობის ამ მეთოდით შედარებით ადვილად ხდება მგზავრების გადანაწილება, ამასთანავე მძღოლები თავს იცავენ მოულოდნელი თავდასხმებისაგან.

— რას აკეთებთ საკუთარი ძალებით?

— ჩვენს გაერთიანებაში შექმნილია მცირე საწარმოები, რომლებიც ძირითადად სათადარიგო ნაწილების რესტავრაციაზე და ახალის დამზადებაზე მუშაობენ. მიუხედავად სიძნელეებისა (შეჩერებულია საბანკო ოპერაციები), სხვა ქვეყნებიდან მაინც ვახერხებთ სათადარიგო ნაწილებისა და განსაკუთრებით საბურავების შემოტანას.

ჩვენმა გაერთიანებამ ერთგვარი ცვლილებები შეიტანა სატრანსპორტო ქსელშიც, კერძოდ, საავტობუსო მარშრუტების მოძრაობის სქემის დამოკლებაში, რათა მასივებიდან და დიდი დასახლებების უბნებიდან მგზავრები პირველ შემხვედრ მეტროპოლიტენის სადგურამდე მიგვეყვანა.

აი, ის ძირითადი შეფერხებები, რის გამოც ქალაქში ტრანსპორტი [illegible]

ესაუბრა
ლელა დოზაძე.

გვესაუბრება დმანისის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე რომან კავლელიშვილი

ერთი ნაავკაცარის ექო,

ანუ დმანისში ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დგება

უკანასკნელ ხანს ქვეყნის სხვა რეგიონებთან ერთად კრიმინოგენული ვითარება დმანისის რაიონშიც ერთობ გამწვავდა. ჩამოსულმა და ადგილობრივმა არამზადებმა სასპარეზოდ თბილისი-ლენინაკანის ავტომაგისტრალი აირჩიეს. ამ გზით ოფიციალურად თუ არაოფიციალურად მეზობელ სომხეთში სისტემატურად გადიოდა სტრატეგიული დანიშნულების დიდძალი სახალხო-სამეურნეო ტვირთი, მათ შორის საწვავი. კომერსანტებს თან ჰქონდათ ასეულ ათასობით მანეთი ნაღდი თანხა. კბილებამდე შეიარაღებული ბანდები პირადი გამდიდრების მიზნით არავის ინდობდნენ და არაფერს ერიდებოდნენ.

საჭირო გახდა დამნაშავეთა სამყაროსთან გადამწყვეტი ბრძოლა. რაიონის აქტივისტებმა და სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებმა დავსახეთ გეგმები, როგორმე გვეშველა შეძრწუნებული ადამიანებისათვის და გამოგვესწორებინა მდგომარეობა. ერთგვარი დამაიმედებელი შედეგებიც იყო. კერძოდ, ყაჩაღთა ერთი ჯგუფი მალე გავაუვნებელყავით, ორი ბანდიტი შემთხვევის ადგილზე გამოესალმა სიცოცხლეს, ორმაც გაქცევით უშველა თავს.

ყაჩაღობა კი მაინც არ დაცხრა. ადგილობრივი ძალები გადამწყვეტი ბრძოლისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა. დახმარებისთვის მივმართეთ რესპუბლიკის მთავრობასა და სახელმწიფო უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს, სადაც ქმედითად დაგვიჭირეს მხარი. ჩამოყალიბდა პოლიციის სპეციალური საგზაო სამსახური, რომელსაც დაევალა დამნაშავე ჯგუფების ალაგმვა და მართლწესრიგის განმტკიცება, თბილისიდან გუგუთამდე — სომხეთის სახელმწიფო საზღვრამდე — ტრასის დაცვა. სამსახურში 130 პატრიოტი ჩაირიცხა. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მოკლე ხანში ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთეს და მრავალი ადამიანი გადაარჩინეს ძარცვასა და დამცირებას.

მცირე ხნით ბანდიტები მიყუჩდნენ, შეინიშნებოდა ერთგვარი სტაბილიზაცია, მაგრამ მოძალადე ჩასაფრებულია, მოულოდნელად მოხდა ის, რასაც არავინ მოელოდა. დიდძალი ფულის, ოქროსა და ამერიკული დოლარის გამოძალვის მიზნით მოიტაცეს სომხეთის რესპუბლიკის ტაშირის რაიონის სოფელ სარჩაპეტის მცხოვრები საიათ აბდალიანი. იგი ცნობილი კომერსანტი იყო, ქვემო ქართლის რაიონებთან უშუალო კავშირი ჰქონდა და ყველა იცნობდა, როგორც ფულიან კაცს. საუბედუროდ აბდალიანის ნათესავებმა მომხდარი სამართალდამცავ ორგანოებს არ აცნობეს, მისი პოვნა-გამოხსნისთვის „შავ სამყაროსთან“ საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებდნენ, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს. აბდალიანის ნათესავებმა მაშინ მძევლად აიყვანეს დმანისისა და ბოლნისის რაიონების შვიდი ქართველი ეროვნების უდანაშაულო მოქალაქე. კრიტიკულად დაიძაბა მდგომარეობა ორ მეზობელ რესპუბლიკას შორის, შეიქმნა კონფრონტაციის საშიშროება.

საქმეში ჩაერთვნენ საქართველოს მთავრობა, რესპუბლიკის პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო. ალბათ, სწორედ მათ, კერძოდ, რესპუბლიკის ვიცე-პრემიერის ავთანდილ მარგიანის, გენერალური პროკურორის თედო ნინიძის, გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის ვახტანგ გვარამიას, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილის დიმურ მიქაძის საქმეში დროულ ჩარევას, გონიერ და საზრიან მოქმედებას უნდა ვუმადლოდეთ საკითხის მშვიდობიან მოგვარებას, საამისოდ მათ საქმიანი ურთიერთობა დაამყარეს სომხეთის ხელისუფლების ორგანოებთან, თავიანთ სომეხ კოლეგებთან. ჩვენც გამოვიყენეთ მეზობლობა, წლების ნაცნობობა და ურთიერთობა ტაშირის რაიონის ხელმძღვანელებთან. მხარში ამოგვიდგნენ ტაშირის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ხაჩიკ დომიკიანი, შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსი, ჩვენი თბილისელი თანამემამულე კარლო გალოიანი, რაიონის პროკურორის თანაშემწე ვიაჩესლავ სუკასიანი და სხვები. დიდი მუშაობა გასწიეს საქართველოს პარლამენტის სომეხმა დეპუტატებმა ჟორა სუნახჩიანმა და ფერდინანდ ალექსანიანმა, გაზეთ „ვრასტანის“ მთავარმა რედაქტორმა ვან ბაიბურთმა.

მოლაპარაკება გვიხდებოდა რთულ პირობებში. განსაკუთრებული სიძნელეები შეგვექმნა მას შემდეგ, როცა ცნობილი გახდა, რომ ავაზაკებმა ხელჰყვეს აბდალიანის სიცოცხლე და აღმოჩენილი იქნა მისი გვამი. გაჩნდა მძევლების დახოცვის რეალური საშიშროება, მაგრამ სწორედ ჩვენს მიერ დასახელებული პირების ფრთხილი, ტაქტიანი მოქმედებებით რთულ ვითარებაშიც [illegible] გამწარებულ ჭირისუფლებთან კონტაქტების დამყარება. ამ მეტად დაძაბული სიტუაციის განტვირთვაში განსაკუთრებული გულისხმიერება და ჰუმანიზმი გამოავლინეს დალუპულის ნათესავებმა, კერძოდ მისმა ძმამ და სიძემ, რომლებმაც კაცური სიტყვა თქვეს და კიდეც შეასრულეს. მძევლებს არაფერი დაუშავდათ და ისინი საღსალამათნი დაუბრუნდნენ თავიანთ ოჯახებს.

ამ არაორდინარულმა შემთხვევამ ხელი ვერ შეუშალა ორი უძველესი ხალხის ტრადიციულ ურთიერთობას, რადგან იგი ჩადენილია არა პოლიტიკური მიზნით, არამედ რამდენიმე ავაზაკის პირადი გამდიდრების სურვილით. მათ გამოსავლენად ორივე ქვეყნის გენერალური პროკურორების შეთანხმების საფუძველზე შეიქმნა ორმხრივი ოპერატიულ-საგამოძიებო ჯგუფი, რომელიც იძიებს სხვა ჩადენილ დანაშაულობებსაც. ორი რაიონის ხელმძღვანელებს შორის მიღწეულია შეთანხმება ხელშეკრულების დადების თაობაზე. იგი ითვალისწინებს მეზობელი რაიონების ეკონომიკური, სოციალური, კულტურული განვითარებისა და მართლწესრიგის დაცვის ერთობლივ ღონისძიებათა მთელ სპექტრს.

ახლა საქმე რაიონში სტაბილიზაციისკენ მიდის, მაგრამ დამშვიდების უფლება და შესაძლებლობა არ გვაქვს. შეიარაღებული ჯგუფები თუმცა ძველებურად ბევრს ვეღარ ბედავენ, მაგრამ ხანდახან მაინც შეგვახსენებენ ხოლმე თავს. ამ უკეთურებმა ახლახან ჩვენი კეთილის მსურველი კარლო გალოიანიც არ დაინდეს, მაგრამ ნაძარცვი არ შერჩათ. უკანასკნელ ხანებში რაიონის ძალებით ავაზაკთა სამი ჯგუფი იქნა შეპყრობილი. ცხადია, სხვებსაც ასე მოელით.

ამ მისიის შესასრულებლად რაიონს სჭირდება რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების სერიოზული დახმარება, უწინარესად ტექნიკით და საბრძოლო იარაღით, სხვა აღჭურვილობით, ტყვია-წამლით... რა დასამალია და, ბანდიტები ამ მხრივ ჩინებულად არიან შეიარაღებული, ჩვენს პოლიციას კი ერთი ჯავშანტრანსპორტიორიც არ გააჩნია, ავტომატური იარაღიც არ არის საკმარისი, არ გვაქვს რაციები. ერთი სიტყვით, მოძალადესთან გვიწევს უთანასწორო შერკინება.

დმანისის რაიონის ყველა მცხოვრების ერთსულოვანი მისწრაფებაა მივაღწიოთ სტაბილიზაციას, დავამყაროთ წესრიგი და დისციპლინა, ადამიანებმა იცხოვრონ მშვიდად და არ ეშინოდეთ მოხანათობისა. ამ რთულ ვითარებაშიც ენერგიულად წყდება სოციალური და ეკონომიკური საკითხები. და ამგვარი მოვლენების ფონზე მართლაც დასაფასებელია ჩვენი რაიონის მშრომელთა მოთმინება და ნებისყოფა: ხშირად ელექტროენერგია გამორთულია, არ ცხვება პური, გაზის მოწოდება შეწყვეტილია, არ შემოდის კარაქი, შაქარი და სხვა პირველი მოთხოვნილების პროდუქტები. ყველას უჭირს, მაგრამ მათ კარგად ესმით ქვეყანაში შექმნილი რთული ვითარება, რუსეთის მიერ აფხაზეთში თავს მოხვეული უსამართლო ომი, ამიტომ ყველაფერს იტანენ და უძლებენ გასაჭირს. ამავე დროს არც განსაცდელში მყოფ თანამოძმეთ ივიწყებენ. ახლახან დმანისელებმა აფხაზეთში გაგზავნეს ერთი ვაგონი კარტოფილი, ამდენივე კომბოსტო, აგრეთვე ხორცი და სხვა პროდუქტი. ქვეყნის თავდაცვის ფონდში კი ნაღდი ფული — ერთი მილიონი მანეთი შეიტანეს.

ამჟამად აფხაზეთში ძირძველი ქართული მიწის დასაცავად იბრძვის 60-მდე დმანისელი პატრიოტი. ამავე დროს შეიქმნა დმანისის რეზერვისტთა ბატალიონი, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ. მიმდინარეობს ინტენსიური წვრთნა. 250 მამაცი მებრძოლი მოუთმენლად ელის იმ დღეს, როცა მას გაამწესებენ იქ, სადაც ჩვენს ქვეყანას ყველაზე მეტად უჭირს.

უკანასკნელ წლებში დიდად დაზარალდა რაიონის სოფლის მეურნეობა. ახლა ყველაფერი კეთდება მდგომარეობის გამოსწორებისათვის. ფერმებში ურიგოდ არ აზამთრებენ პირუტყვს, საგაზაფხულო სამუშაოებისათვის კერძო და სახელმწიფო სექტორი უკეთ არის მომზადებული და ტექნიკა კიდეც გავიდა მინდვრად, ხნავენ საგაზაფხულო კულტურებისათვის განკუთვნილ ფართობს, რგავენ კარტოფილს. მიწის პრივატიზაციაც ორგანიზებულად წარიმართა, მიწა მიიღეს მათ, ვისაც ნამდვილად ეკუთვნის. წელს უთუოდ მეტი იქნება ბარაქა და დოვლათი.

რთულ პირობებში, როცა ძნელად ვშოულობთ საწვავს, სამშენებლო მასალები თითქმის მთლიანად გაქრა, სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო ტექნიკაც გვეცლება ხელიდან, მაინც ვახერხებთ სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობას. მალე ამოქმედდება 28 კილომეტრი სიგრძის წყალსადენი, რომელიც სასმელი წყლით უზრუნველყოფს რაიონულ ცენტრს და მოზრდილ სოფლებს: ჯავახს, განთიადს, ღუნუსს, ბოსლებს, ვარდისუბანს, დიდ დმანისს, პატარა დმანისს. სასაზღვრო სოფლებში გუგუთსა და ირგანჩაიში გაჰყავს მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი, სოფელ განთიადში მიმდინარეობს ბუნებრივი გაზის გაყვანის სამუშაოები, ცისფერი ალი ჰომარეთშიც აინთება.

რეკონსტრუქცია გაუკეთდა დმანისის საავადმყოფოს, შეიცვალა გათბობის სისტემა, კეთილმოეწყო კარ-მიდამო, ტროტუარები და ბორდიურები. ახლა აქ სამკურნალოდ მეზობელი რაიონებიდანაც მოდიან. აღსანიშნავია, რომ დმანისის რაიონის ყველა სკოლაში სასწავლო პროცესი შეუჩერებლივ მიმდინარეობს, მოქმედებენ კულტურის კერებიც. ერთი სიტყვით, რაიონი ჩვეული შრომითი რიტმით იღვწის. რაც მთავარია, რაიონის მშრომელთა აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერს ქვეყნის დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკას, საქართველოს ეროვნულ დამოუკიდებლობასა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვას, აქ მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების თანასწორუფლებიანობას.

ჩვენი მთავარი პრობლემა მაინც საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენა და განმტკიცებაა, რასაც მალე მივაღწევთ. სხვა მხრივ ჩვენი ხალხი მშრომელია და მუდამ მაქვს მისი იმედი.

ესაუბრა **დავით ბიწაძე.**

მინაწერი: როცა რაიონის გამგებელს ვესაუბრებოდი, იგი ხალისით მისახელებდა იმ ადამიანებს, რომლებმაც თავიდან აგვაცილეს კონფრონტაცია მეზობელ სომხეთის რესპუბლიკასთან. თავის თავზე კი სიტყვაც არ დასცდენია. არადა, დმანისში მის გარდა ბევრ ჩემს ძველ ნაცნობსა და მეგობარს შევხვდი. ყველა ერთად აღნიშნავდა რომან კავლელიშვილის აქტიურ როლს კონფლიქტის მოგვარებაში. ამაში მას პროფესიული ჩვევებიც უწყობს ხელს. იგი ხომ მრავალი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა დმანისის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებას. მეზობელ ტაშირის რაიონშიც ბევრი მეგობარი ჰყავს, რომელთაც ახსოვთ ქართველი ვაჟკაცის კაცურკაცობა და მზად არიან სიკეთითვე მიუზღონ მას.

რედაქციამ წერილი მიიღო

კარგი იქნებოდა, გამოსავალი რომ იყოს

ამ რამდენიმე ხნის წინათ რედაქციამ პარლამენტის წევრების თენგიზ კალანდაძის, გურამ გეწაძისა და ანზორ თავართქილაძის ხელმოწერილი წერილი მიიღო. ისინი მიმართავენ უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს — ილია II, საქართველოს პარლამენტის სპიკერს ვახტანგ გოგუაძეს იმის გამო, რომ მზადდება საკითხი პარლამენტის სამეურნეო საქმიანობისა და ყოფილი მთავრობის სასახლის მის ადგილსამყოფელად გადაცემის თაობაზე.

ისინი აღნიშნავენ, რომ ადგილი, სადაც მთავრობის სასახლეა აშენებული, ისტორიულად ტაძრებისა და სალოცავების წმინდა სავანე იყო. რომ აქ იდგა წმინდა გიორგის ტაძარიც. ბოლშევიკების საქართველოში შემოსვლის პირველივე დღიდან კი მთლიანად დაინგრა და აღიგავა ყველაფერი. წერენ, რომ ამის შემდეგ აქ დატრიალდა მრავალი ცოდვა.

ამიტომაც წინადადებას აყენებენ, ეს ადგილი კვლავ სულიერი ხიწმინდისათვის დაგვებრუნებინა, პარლამენტისთვის კი ადგილი სხვაგან გამოგვეძებნა.

პარლამენტართა წერილი ბატონ ვახტანგ გოგუაძეს გადავეცანით. ქვემოთ გთავაზობთ მის პასუხს.

ბატონებო, მისასალმებელია თქვენი სურვილი. მეც ხშირად მიფიქრია და მიოცნებია ასე. უწმინდესსა და უნეტარესთანაც გვქონდა საუბარი. ყველაფერი მისაღებია, ოღონდ არის ერთი „მაგრამ“. მსოფლიოში არა მგონია იყოს მეორე სახელმწიფო, რომლის ავტორიტეტი და მატერიალური ბაზა ასეთ შეუსაბამობაში იყოს ერთმანეთთან. როგორც ადამიანის ჩაცმა-დახურვა არ არის მხოლოდ სითბოს მიზნით შექმნილი (ეს მეორადი მოტივია, ლოყები არაფრითაა ყინვაში დაცული, მაგრამ იტანს ზამთრის ტემპერატურას, — ასეთი აზრის გახლდათ დიდი ფრანგი ფილოსოფოსი მწერალი მიშელ მონტენი)... ასევე სახელმწიფოს, მის ხელისუფლებას ის ალაგი სჭირდება, ელემენტარულ ნორმებს რომ უპასუხებს. თბილისში საელჩოების და გაეროს წარმომადგენლობისათვის შენობები ვერ გვიპოვნია. იგულისხმება მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოები. ქოხში ვერ შესძლებს მოღვაწეობას თანამედროვე ცივილიზებული სახელმწიფოს ხელისუფლება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სხვა სახელმწიფოთა მეთაურები ხომ უნდა გვეწვიონ? ასე რომ, გამოსავალი რომ იყოს, კარგი იქნებოდა თქვენი წინადადების რეალიზება. მაგრამ იმ წმინდა მსხვერპლის, ჩვენი ხალხის დანთხეული წმინდა სისხლის საკურთხებლად, მათი სულის უკვდავსაყოფად, იქნებ, სალოცავი ან სტელა დავდგათ. რაც შეეხება წმინდა გიორგის, იგი ელოდება მონანიებისათვის მომზადებულ ჩვენს გულს ქაშვეთში. ვაი, რომ არა ვართ მზად ჩვენს თვალში ბოძი დავინახოთ, — სხვისაში ვეძებთ წკირს. შესაცვლელია შავი ძაძით მოსილი ჩვენი დროშა, მორწმუნენი ირწმუნებიან, სიზმარი ცხადით გვიდასტურებს — უღიბლო და სისხლშეუჩერებელი დროშაა იგი.

გვიახლოვდება აღდგომის დღესასწაული. ვინატროთ, ჩვენ ვიყოთ ღმერთთან, ვძლიოთ წარმართობას, კერპთაყვანისმცემლობას, სიძულვილს, შურს, — მაშინ შეგვივედრებს წმიდა გიორგი, რათა ჩვენთვის ევედროს ქრისტეს.

ვახტანგ გოგუაძე.

შემოწმებით გამოვლინდა

ამას წინათ ზესტაფონის რაიონის კონტროლის პალატამ შეისწავლა სააქციო საზოგადოება „მთაწმინდის“ ზესტაფონის ფილიალის საქმიანობა.

აღმოჩნდა, რომ ამ ორგანიზაციამ 16784 მანეთი დააკლო ბიუჯეტს. ასევე ფილიალმა შარშან, ივნისსა და აგვისტოში, კოოპერატივ „ლადას“ გადასცა 253489, ხოლო კომერციულ მაღაზია „გზის ვარსკვლავს“ 224634 მანეთის ღირებულების ავტოსათადარიგო ნაწილები, რაც დაუშვებელია და წარმოების მართვის უხეშ დარღვევად ითვლება.

იმის გამო, რომ სათადარიგო ნაწილებზე არ არის დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი, 184484 მანეთი გადაიმალა და ბიუჯეტს დააკლდა.

გამოვლინდა სხვა დარღვევებიც — საწვავის დატაცების, დაზგა-დანადგარების ჩამოწერის, პრემიების უკანონოდ გაცემის შემთხვევები, მსუბუქი ავტომანქანის ძარების ერთი და იმავე პირებზე მიცემის ფაქტები და სხვ.

ჰენრი შარიქაძე.

შეგვძენს გამოცდილებას

კუპონი თავისი არსით ფული არ არის, არამედ მისი წარმომადგენელია, იმ თვალსაზრისით, რომ კუპონი პირველი ეროვნული ფულის შემცვლელი ერთეულია და ეს ნაბიჯი ადრე თუ გვიან უნდა გადადგმულიყო.

კუპონის შემოღება შეიძლება [illegible] ზადებელი პერიოდი, რომელიც გარკვეულ გამოცდილებას შეგვძენს და დასკვნების გამოტანის საშუალებას მოგვცემს. ამდენად, იგი დადებითად უნდა შეფასდეს.

ბონდო ზარნაძე,
რესპუბლიკის მეწარმეთა და მეიჯარეთა კავშირის პრეზიდენტი.

ტრანსპორტი: პრობლემები და მათი გადაჭრის გზები

სავალალო პირველობა და... პერსპექტივა

იმსჯელეს მოძრაობის უსაფრთხოებაზე

ალბათ ხშირად გაიგონებთ, მძღოლები თბილისში როგორც უნდათ ისე დადიან, არც შუქნიშანს დაგიდევენ და არც მოძრაობის სხვა წესებს. სამწუხაროდ, ეს მართლაც ასეა. ამის დამადასტურებელია სავალალო სტატისტიკური მონაცემებიც: წელიწადში ავტოკატასტროფის შედეგად დაღუპულთა და დასახიჩრებულთა პროცენტული რაოდენობით თურმე რამდენიმე წელია მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილს არავის „ვუთმობთ“. რა და როგორ უნდა გავაკეთოთ მოძრაობის უსაფრთხოებისათვის? — ამ მნიშვნელოვანი პრობლემის განხილვას მიეძღვნა ახლახან რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროში გამართული შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ ზემოაღნიშნული სამინისტროს, კონცერნ „საქავტოგზის“, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო პოლიციის სამმართველოს, მოძრაობის უსაფრთხოების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი მუშაკები.

შეხვედრის მონაწილეებმა თავიანთი მოსაზრებები და წინადადებები გაუზიარეს საფრანგეთიდან ჩამოსულ სპეციალისტებს, რომლებიც შეხვედრაში მონაწილეობდნენ, და დახმარება სთხოვეს რესპუბლიკაში არსებული ამ მწვავე პრობლემის წარმატებით გადაჭრაში. აზრთა გაზიარებისას მრავალი საჭირბოროტო საკითხი წამოიჭრა. ყველა ის წინადადება, რომლითაც დაინტერესებული იყო ქართული მხარე, ერთ დოკუმენტად შეიკრა. ფრანგმა სპეციალისტებმა თან წაიღეს იგი, შეისწავლიან ყოველივეს და უახლოეს დროში თავიანთ საფუძვლიან დასკვნებსაც მოგვაწვდიან.

მაინც, რა მიზანს ისახავდა ეს შეხვედრა? როგორც საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროს მოძრაობის უსაფრთხოების სამმართველოს უფროსმა მიხეილ ნადარეიშვილმა გვითხრა, მთავარი გახლდათ ის, რომ ასეთი განვითარებული ქვეყნის წარმომადგენლებს, როგორიც საფრანგეთია, ჩაეხედათ ჩვენს პრობლემებში და, ასე ვთქვათ, დაესახათ კონკრეტული რეკომენდაციები, რომლებიც პრაქტიკულად დაგვეხმარება პრობლემის გადაჭრაში. საქართველოს კი, სადაც ყოველ 10 ათას ავტომობილზე გაანგარიშებით მსოფლიოში თითქმის ყველაზე მეტი ადამიანი იღუპება, მართლაც რომ, დიდი დახმარება და ძალისხმევა სჭირდება. საფრანგეთში კი ამ მიმართულებით ბევრი რამ უკვე გაკეთებულია და მათგან რჩევების მიღება არ გვაწყენს. დიახ, იქ მძღოლის მომზადებიდან დაწყებული საკანონმდებლო ნორმატიული ბაზით დამთავრებული, ყველაფერი მოგვარებულია და მათი გამოცდილება დიდ სარგებლობას მოგვიტანს. უპირველესად ფრანგმა სპეციალისტებმა იკისრეს ვალდებულება, ევროგაერთიანების და სხვა უფლებამოსილი ორგანიზაციების წინაშე გვიშუამდგომლონ, რათა გამოგვეყოს სუბსიდიები ან სესხები მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

იმის შესახებ, თუ მაინც როდის და რის საფუძველზე დავუკავშირდით ფრანგ სპეციალისტებს, გვესაუბრება საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის მინისტრი [illegible]

მან, საქართველოს დელეგაცია მიწვეული იყო საფრანგეთის რეგიონ რონ-ალპებში. წინასწარ დამტკიცებული შეხვედრების გეგმაში არ შედიოდა საავტომობილო ტრანსპორტის უსაფრთხოების საკითხები. მაგრამ იქ ყოფნისას ბატონ თენგიზ სიგუასთან საუბრის დროს იმ დასკვნამდე მივედით, რომ მასპინძლებისთვის გვეთხოვა წარდგენილ განზრახულობათა ოქმში დამატებით ეს საკითხიც შეგვეტანა. საღამოს წამოჭრილი ეს იდეა მაშინვე მივაწოდეთ სპეციალისტებს და, ჩვენდა გასაკვირად, უკვე დილით პარიზიდან ამ საკითხის თაობაზე სპეციალური ჯგუფი ჩამოვიდა. შესაშური ოპერატიულობით შედგა ჩვენი შეხვედრა სპეციალისტების ამ ჯგუფთან და საუბარი აღნიშნულ თემაზე, ყოველივე ამის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი გახლდათ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, ასოციაცია „საფრანგეთი-რონ-ალპები-საქართველოს“ ვიცე-პრეზიდენტი ბატონი გოჩა ჩოგოვაძე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩვენი პარტნიორი ფრანგების მხრივ არის საფრანგეთის სახელმწიფო დეპარტამენტი და გზების გამოკვლევისა და აგების ცენტრალური საზოგადოება „სეტორუტი“. ეს უკანასკნელი კი გზათა მშენებლობის სფეროში ლიდერი გახლავთ, მის მიერ დაპროექტებული და რეალიზებულია საფრანგეთის საავტომობილო გზების 3000 კილომეტრზე მეტი. მას გზები გაჰყავს მალაიზიაში, აშშ-ში, მექსიკასა და აფრიკის მრავალ ქვეყანაში. [illegible]

ველოს საგზაო ქსელის რამდენიმე მნიშვნელოვანი გზის ზოგიერთ უბანს სახიფათო მახასიათებლები აქვს, ამიტომაც მისი აღმოფხვრის გზებსა და საშუალებებზე დამაჯერებელ რეკომენდაციებს ველოდებით საფრანგეთიდან. გვსურს უცხო თვალით შეფასდეს ჩვენში არსებული მდგომარეობა, გაირკვეს ავტოავარიის წარმოშობის მიზეზები, დაისახოს ფართო პროფილაქტიკური ღონისძიებების პროგრამა მსოფლიო მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გაზიარებით. საქმე ეხება როგორც საავტომობილო გზების ფიზიკურ მდგომარეობას, ასევე საავტომობილო პარკის საიმედოობას, მოძრაობის ორგანიზაციას, პროფილაქტიკას, ასევე ავარიისშემდგომი პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პრაქტიკის დანერგვას და, რაც მთავარია, საკანონმდებლო ნორმების სრულყოფას. ამ მიმართულებით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი სწორედ საკანონმდებლო აქტების შემუშავება გახლავთ და ამ შეხვედრაზეც ამის თაობაზე გვქონდა საუბარი. დაისახა შემდგომი მუშაობის გეგმა, კერძოდ, ფრანგი სპეციალისტები შეისწავლიან და გამოიკვლევენ საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის დაახლოებით 2-ათასკილომეტრიან გზას უსაფრთხოების მიზნით. გარდა ამისა, ფრანგი კოლეგები მოგვაწვდიან მეთოდურ ლიტერატურას, ყველა აუცილებელ ხელსაწყოს და სხვა ტექნიკურ საშუალებებს. ბოლოსდაბოლოს, რაღაც ხომ უნდა ვიღონოთ იმ სამწუხარო სტატისტიკის შესაცვლელად, რაც ამ ბოლო ექვსი წლის განმავლობაში გვაქვს! დიახ, მოსახლეობის ფართო ფენები კარგად როდია ინფორმირებული იმის თაობაზე, თუ რამდენი კაცი იღუპება ყოველწლიურად ავტოავარიით. 1990 წელს ამ ციფრმა 1000 კაცს გადააჭარბა, ასეთივე მონაცემებია 1991 წელს, ამაზე კი სერიოზულად გვმართებს დაფიქრება.

ასე რომ, მომავლის იმედი გვაქვს, მოძრაობის უსაფრთხოების პრობლემის მოგვარება საქართველოს მოსახლეობას ბევრ სიკეთეს მოუტანს.

ლალი ქინქლაძე.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

„საქართველო“ ოდესაში

ოდესაში გაიხსნა საქართველოს ეროვნულ-კულტურული საზოგადოება „საქართველო“. მან გააერთიანა ამ ქალაქში მცხოვრები ორი ათასზე მეტი ქართველი, რათა დაეხმაროს მათ შეინარჩუნონ და ახალ თაობებს გადასცენ თავისი ხალხის ტრადიციები და ზნე-ჩვეულებანი, მისი ენა. საზოგადოების თავმჯდომარემ, დიდი სამამულო ომის ვეტერანმა ლევან სამხარაძემ ხაზგასმით აღნიშნა თავისი თანამემამულეების მისწრაფება, ღირსეული წვლილი შეიტანონ უკრაინის სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში, რომლის მოქალაქეებიც ისინი არიან, და გამოთქვა იმედი, რომ კიევში საქართველოს ხელმძღვანელის ედუარდ შევარდნაძის 12 აპრილს დაწყებული ვიზიტი ხელს შეუწყობს უკრაინასა და საქართველოს შორის ტრადიციული კეთილი კავშირურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

პალესტინელ ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება, ოღონდ...

მოსკოვი, „პალესტინელ ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება, — განაცხადა რუსეთში ვიზიტად მყოფმა ისრაელის სახელმწიფოს იმიგრანტთა აბსორბციის მინისტრმა იაირ ცაბანმა. — ამ უფლების რეალიზაციისათვის, თქვა მან, — პალესტინელმა ხალხმა უნდა ცნოს ისრაელის სახელმწიფოს დამოუკიდებელი არსებობის უფლება და შეწყვიტოს ტერორი.

მინისტრმა აღნიშნა, რომ ისრაელის ახლანდელ მთავრობას თავისი საქმიანობის ძირითად მიზნად მიაჩნია ახლო აღმოსავლეთის პრობლემის პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევა.

„ამ მიზნის მისაღწევად სირიამ უნდა გამოხატოს რეალური მზადყოფნა სრულმასშტაბიანი საზავო ხელშეკრულების დადებისათვის ისრაელის სახელმწიფოსთან, რომელიც თავის მხრივ, უნდა წავიდეს სერიოზულ ტერიტორიულ დათმობებზე გოლანის მაღლობების რაიონში, — თქვა იაირ ცაბანმა. — ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენს ურთიერთობას პალესტინელებთან“.

იაირ ცაბანმა აღნიშნა, რომ „ახლა მსოფლიო გაერთიანებაში შეიქმნა ხელშემწყობი ატმოსფერო ამ გეგმის მისაღებად მნიშვნელოვანწილად ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის კონსტრუქციული პოზიციის წყალობით“.

ევროთათბირის თავმჯდომარის დესპანი ტაჯიკეთში

დუშანბე. ტაჯიკეთმა, რომელიც ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წევრია, უნდა შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებანი, დაიცვას საერთაშორისო ნორმები და დემოკრატიული, საერო სახელმწიფოს სტანდარტები, რომლის მშენებლობას იგი ესწრაფვის, — განაცხადა დუშანბეში გაფრენის წინ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის თავმჯდომარის დესპანმა, თურქეთის ელჩმა ავსტრიაში ჰიქმათ ალპმა.

ათი დღის მანძილზე ჰიქმათ ალპი ეცნობოდა რესპუბლიკაში შექმნილ ვითარებას. იგი შეხვდა ტაჯიკეთის ხელმძღვანელობას, აგრეთვე, საზღვარგარეთის ქვეყნების ელჩებს, რუსეთის სასაზღვრო ჯარების სამხედროებსა და სარდლობას, რელიგიურ მოღვაწეებს, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომლებსაც თავიანთი ოფისები აქვთ დუშანბეში. „საერთოდ, კმაყოფილი ვარ გაწეული მუშაობით და მიმაჩნია, რომ საკმაოდ სრული სურათი შემექმნა ქვეყანაში ვითარების შესახებ, რომელიც დაეხმარება ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირს, მოამზადოს შესაბამისი რეკომენდაციები ტაჯიკეთისათვის საჭირო დახმარების გაწევის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს რესპუბლიკის გამოსვლას საზოგადოებრივ-პოლიტიკური კრიზისიდან“, — აღნიშნა ჰიქმათ ალპმა.

შეთანხმდნენ ცეცხლის შეწყვეტაზე

სოჭი. სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფო ხელმძღვანელობის წარმომადგენლები შეთანხმდნენ შეწყვიტონ ცეცხლი კონფლიქტის ზონაში 9 აპრილის 12 საათიდან. 18 აპრილს დასახულია მოსკოვში გაიმართოს შეხვედრა პრემიერ-მინისტრების დონეზე.

ეს მორიგებანი მიღწეულია დღეს სოჭში სომხეთის თავდაცვისა და უშიშროების სახელმწიფო მინისტრის ვაზგენ სარქისიანისა და აზერბაიჯანის სახელმწიფო მდივნის პანახ ჰუსეინოვის მოლაპარაკების შედეგად რუსეთის თავდაცვის მინისტრის პაველ გრაჩოვის შუამავლობით.

220 მილიონი დოლარი რუსი სამხედროებისათვის

ვაშინგტონი. შეერთებული შტატები განიხილავს ნატოს ფონდებიდან იმ ყოფილი საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეების საცხოვრებლის მშენებლობის დაფინანსების შესაძლებლობებს, რომლებიც რუსეთში ბრუნდებიან აღმოსავლეთ ევროპიდან და ბალტიის ქვეყნებიდან. როგორც ამასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომიტეტის სამხედრო ობიექტების ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ დეივ მაკერდიმ აღნიშნა, საქმე ეხება ამ მიზნებისათვის დაახლოებით 220 მილიონი დოლარის გამოყენებას, რომელიც ამერიკის შენატანია 1994 წელს ნატოს ინფრასტრუქტურის ფონდში.

„ასოშიეიტედ პრესის“ აზრით

ნიუ-იორკი. 25 აპრილისათვის გათვალისწინებული რეფერენდუმი რუსეთში ვერ გამოავლენს უდავო გამარჯვებულებს. ამას აღნიშნავს კვირას გამოქვეყნებული შერჩევითი გამოკითხვის შედეგები, რომელიც ტელეფონით მოაწყო ამერიკის უდიდესმა საინფორმაციო სააგენტომ „ასოშიეიტედ პრესმა“.

როგორც გამოკვლევამ ცხადყო, რუსეთის პრეზიდენტს მცირე პოპულარობა აქვს მოსკოვსა და სანქტ-პეტერბურგში, თავის მშობლიურ ურალში, აგრეთვე, რუსეთის ჩრდილოეთში, ვორკუტის ქვანახშირის აუზში.

ნატოსა და გაეროს ეგიდით

რომი. ნატოს ქვეყნების სამხედრო თვითმფრინავები მზად არიან ორშაბათს ადგილობრივი დროით 14.00 საათიდან შეუდგნენ იტალიის ტერიტორიიდან ბოსნია-ჰერცეგოვინაში საჰაერო მოძრაობის აკრძალული ზონის პატრულირებას, ნათქვამია საინფორმაციო სააგენტო „ანსას“ ცნობაში.

თუმცა, ამ ოპერაციის ხელმძღვანელობა დაეკისრა იტალიელ გენერალს ანტონიო როსეტის, აღნიშნავს ანსა, იტალია, როგორც საზღვრისპირა სახელმწიფო, უშუალო მონაწილეობას კი არ მიიღებს სამხედრო აქციებში, არამედ შემოიფარგლება მიწისზედა ზურგის მხარდაჭერით და ნატოს განკარგულებაში გადასცემს თავის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზებს.

სტოკჰოლმი. საერთაშორისო ღონისძიებანი ყოფილ იუგოსლავიაში მშვიდობის მიღწევის ან ცეცხლის შეწყვეტისათვის უნდა განხორციელდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, როგორც ისეთი ორგანიზაციის ეგიდით, რომელსაც ეკისრება მთავარი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროებისათვის.

ეს გაზეთ „დაგენს ნიუჰეტერის“ ფურცლებზე განაცხადა შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მარგარეტა აფ უგლასმა. სწორედ გაეროს უნდა ეკისრებოდეს პოლიტიკურ-დიპლომატიური პასუხისმგებლობა იმ მოქმედებისათვის, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, იქნება ოპერაცია ყველა მხარის მიერ ხელმოწერილი მშვიდობიანი მოწესრიგების გეგმაზე დამყარებული მშვიდობის შენარჩუნებისათვის, და სადაც საჭიროა, გამოირიცხოს იძულებითი ხასიათის გარკვეული ღონისძიებანი, აღნიშნა მინისტრმა იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყანაში იწყება ყოფილ იუგოსლავიაში საერთაშორისო გაერთიანების ჩარევის სამხედრო ღონისძიებათა საკითხის განხილვა.

გაიზარდა პრეზიდენტ ფრანსუა მიტერანის პოპულარობა

პარიზი. (იტარ-საქინფორმი). ბოლო თვეების განმავლობაში პირველად გაიზარდა საფრანგეთის პრეზიდენტის ფრანსუა მიტერანის პოპულარობა ქვეყნის მოსახლეობაში. გამოკითხვის დროს, რომელიც მოაწყო საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელმა სამსახურმა ჟურნალ „პარი-მატჩის“ შეკვეთით, აპრილის დამდეგს, ფრანგების 41 პროცენტი „მეტად კარგი“ და „კარგი“ აზრის იყო სახელმწიფოს მეთაურზე, მაშინ როცა, ერთი თვის წინათ, მის საქმიანობას დადებითად აფასებდა გამოკითხულთა მხოლოდ 33 პროცენტი.

მძარცველებს ცოცხლად წვავენ

ნიგერიის ქალაქ ლაგოსის ერთ-ერთ გარეუბანში შავი კვამლის ბოლქვები და ცეცხლწაკიდებული ავტომობილის საბურავების ნაფერწკლები ცაში აიჭრა. აღშფოთებულმა ბრბომ ლინჩის წესით დასაჯა ოთხი მძარცველი, რომლებსაც ქურდობის ადგილზე წაასწრეს. ისინი ცოცხლად დაწვეს კოცონში. ასეთი სასტიკი ანგარიშსწორება ადგილზე ლაგოსელთა ღრმა რწმენით, „დიდხანს მოუსპობს სისხლისსამართლებრივ ელემენტებს სურვილს გამოჩნდნენ ამ რაიონში“.

ინციდენტამდე ერთი საათით ადრე, ბანდამ, რომელიც პარპაშობდა ლაგოსის მიდამოებში, პირწმინდად გაძარცვა ერთ-ერთი კერძო სახლი. დაზარალებულის ფხიზელმა მეზობელმა პისტოლეტის გასროლით დაჭრა ერთ-ერთი მძარცველი. ამ უკანასკნელმა, როცა ხმაურზე მოსული ბრბოს ხელში აღმოჩნდა, დაასახელა თანამზრახველები. მძარცველები მაშინვე გამოათრიეს ბუნაგიდან, [illegible] და კოცონზე დაწვეს.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრემიერა

ზარის ხმა სიჩუმეში

ვეგონებოდათ, ძველი დიდება დაუბრუნდაო (ისეთი როგორც ახლდა რობერტ სტურუას კლასიკურ შედევრებს „კავკასიური ცარცის წრე", „რიჩარდ III", „მეფე ლირი") იმგვარი განწყობილება იყო გასულ პარასკევსა და შაბათს რუსთაველის თეატრის პრემიერაზე „ცხოვრება სიზმარია". თავიდანვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული სპექტაკლი აშკარად ჩამორჩება სტურუას შედევრებს. თუმცა, შესაძლებელია ისე განვითარდეს რეჟისორის გზა, რომ ეს სპექტაკლი საეტაპოდაც იქცეს, გარკვეული თვალსაზრისით იქნებ განახლების მაუწყებელიც აღმოჩნდეს მის შემოქმედებაში.

პედრო კალდერონის ურთულესი პოეტურ-ფილოსოფიური დრამა ესპანეთშიც კი იშვიათად იდგმება. იგი ქართველმა რეჟისორმა ორი წლის წინათ აირჩია სევილიაში მსოფლიო გამოფენა „ექსპოზე" წარმოსადგენად, ამ სპექტაკლის სადადგმო, მგზავრობისა და სასტუმროს ხარჯები „ექსპო-92"-ის ორგანიზატორებმა გაიღეს. პრემიერა შარშან ივლისში შედგა ქ. სევილიის ლოპე დე ვეგას სახელობის თეატრში. ესპანური პრესა ფართოდ გამოეხმაურა კალდერონის ქართულ ადაპტაციას: „დღემდე ნანახი ესპანური თეატრალური დასების მიერ შესრულებული ეს ნაწარმოები ყოველთვის მძიმე და ნაღვლიანი სანახაობა იყო, სავსე ყალბი ხმებითა და სხვა თეატრალური სისულელეებით. ეს თითქმის წესად იქცა"... „სტურუამ გვიჩვენა ნორჩი, სიცოცხლითა და ენერგიით სავსე, მხიარული კალდერონი"... „რობერტ სტურუას ორიგინალური შემოქმედება დიდ და კეთილ სამსახურს უწევს პიესის დრამატურგიას და კალდერონის შემოქმედებას წარმოგვიდგენს სრულიად ახლებურად, აღქმულს მხიარული, სადღესასწაულო სულისკვეთებით".

მჯერა, რომ ესპანელებს გულწრფელად გააოცებდათ სტურუას ხელწერა, რადგან ისინი უშუალოდ პირველად გაეცნენ მის სასცენო პოეტიკას. ჩემი აზრით, ეს სპექტაკლი ფესტივალისთვის დაიდგა და ჯობდა ასეთადაც დარჩენილიყო თეატრის ისტორიაში, მაგრამ რა გინდა მოუხერხო მაყურებლის განუზომელ ინტერესს რუსთაველის თეატრის, კერძოდ რობერტ სტურუას შემოქმედების მიმართ, თვეები გადის და არ იბადება ახალი სპექტაკლი, სულს ღაფავს თეატრი. ამიტომაც სხვა გამოსავალი აღარ არსებობს, საჭიროა რაიმე ახალი მიაწოდო მაყურებელს, სხვაგვარად თეატრი მოკვდება. იდეალურად რომ იყოს საქმე აწყობილი რუსთაველის თეატრში, ალბათ არც ჩათვლიდნენ საჭიროდ „ცხოვრება სიზმარია"-ს წარმოდგენას.

სტურუა მთელი თავისი არსით ებრძვის მოსაწყენ თეატრს. ჩემი აზრით, სტურუასთვის ყოველთვის მთავარია შექმნას ისეთი სანახაობა, რომელიც მაყურებელს გააოცებს, გაოცება მისთვის უმაღლესი ესთეტიკური კატეგორიაა, რომელიც ხელოვნების ყველა სფეროში უნდა არსებობდეს. აი ასეთი გაოცების მომენტები არ არის ამ სპექტაკლში და სწორედ ამიტომ ვერ ჩავთვლით მას სტურუას შედევრების სათვალავში. ამას რომ ვწერ, სულაც არ ვაპირებ ჩვენი „ცოცხალი საგანძურის" განქიქებას. ამის თქმის უფლებას იმიტომ ვაძლევ ჩემს თავს, რომ ვიცი სტურუას, როგორც არტისტის, შეუძლია თავისი შემოქმედების ირონიზება და პაროდირება. და კიდევ, ხელოვანიც ხომ ადამიანია, მასაც ხომ აქვს დაცლისა და აღვსების პერიოდები, მჯერა, ახლა აღვსების დასაწყისთან დგას რობერტ სტურუა და მომავალი ქმნილება იქნება ისეთი, რომელიც გააოცებს ქართველ მაყურებელს.

სტურუამ თავის სტილისტიკას დაუმორჩილა ბაროკალური პიესა, ტრადიციული ბაროკოს სტილისტიკა თანამედროვე „სტურუასეული" ბაროკოთია შეცვლილი — აქ სიტყვების სიჭარბე კი არ არის, არამედ არის „მოქმედების ბაროკო". რეჟისორმა სხვა პლანში გადაიტანა პიესის ტონალობა (ისე რომ, არ დაუკარგავს მისთვის პოეტურ-ფილოსოფიური სიღრმე და არ შეუცვლია გმირთა ორიგინალური ხასიათები), მძაფრი მონტაჟის მეშვეობით უფრო დინამიური გახდა მოქმედება, რელიეფურად წარმოჩინდა გმირთა ურთიერთობის განმსაზღვრელი მოტივები და ვხედავთ, რომ სპექტაკლი აქტუალურია, საოცრად ესადაგება დღევანდელი საქართველოს პრობლემატიკას, ისეთი შეგრძნება გეუფლება, თითქოს ჩვენს პრესას კითხულობ, როცა გიორგი ხარაბაძე-ბასილიო ამბობს: „ორად გაიყო სამეფო მთელი: ნახევარ ლაშქარს ასტოლფო უნდა, სხვანი აქებენ პრინც სეხისმუნდოს".

..სპექტაკლის მთავარი გმირი სეხისმუნდო (ზაზა პაპუაშვილი) ბავშვობიდან დილეგში გამომწყვდეული, თავისუფლებასაა მოწყურებული. მის ბაგეს უმალ წყდება სამდურავი საწუთროსადმი: „მე რომ შთამბერე ცხოველი სული, თავისუფლება რად არ მაღირსე?" მაგრამ ხდება ისე, რომ თავისუფლების მოტრფიალე მიაღწევს რა თავისუფლებას, უმალ გზას უხსნის თავის ქვენა გრძნობებს და ტირანად იქცევა! თუმცა კეთილისმსურველნი შეაგონებენ, იფრთხილე, „სიზმრად არ გაქცესო ეს ყველაფერი" და აკი ასეც ხდება...

სეხისმუნდო ბოლოს მიდის იმ დასკვნამდე, რომ „წარმავალ ქვეყანაში მაინც ზნეობრივ ცხოვრებას უნდა მიენიჭოს უპირატესობა" (ნოდარ გურაბანიძე), „რადგან სიკეთე თვით სიზმარშიც სიკეთედ რჩება!".

თანამედროვე სამყაროში ჰუმანიზმის დაძაბუნებული საყრდენების აღდგენა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, „როცა ყოველი კაცი, თავის ხორციელ არსებობას ზნეობრივი სრულყოფილებისკენ წარმართავს. ეს გზა კი ადამიანმა მარტომმარტო უნდა გაიაროს. აქ მას დამხმარე და მშვილდი არ ჰყავს" (აკაკი ბაქრაძე).

...უაღრესად შთამბეჭდავია სრულ მდუმარებაში დანთქმული ფინალი სპექტაკლისა. სეხისმუნდოს დაჩოქილ ფიგურას გამოკვეთს სინათლე. კონა, მას ხელთ უპყრია პატარა ზარი, რომლის წკრიალი მკაფიოდ წვდება ჩვენს ყურთასმენას... სცენის სიღრმიდან სიბნელეს გამოეყოფა კლარინი (დავით პაპუაშვილი) და ზარს ჩამოართმევს სეხისმუნდოს, რომლის მრავლისმეტყველი მზერა დარბაზისკენაა მიმართული.. კლარინი კვლავ წკრიალს შეუერთდება, მხოლოდ ზარის წკრიალა ხმა ისევ ჩაესმის და.. ისმენთ ზარის ხმას სიჩუმეში.

რობერტ სტურუა კალდერონის მიხედვით დადგმულ სპექტაკლში მეტ აქცენტებს აკეთებს ადამიანის შინაგანი გარდაქმნის პროცესებზე, გაძლიერებულია პერსონაჟთა ურთიერთობის ფსიქოლოგიური მხარე, უფრო ნათლადაა წარმოჩენილი, თუ როგორ მიმდინარეობს ადამიანის სულში ჭიდილი ნათელ და ბნელ საწყისებს შორის. რეჟისორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს აქტიორულ ნამუშევრებს და შედეგიც სახეზეა. უპირველესად აღვნიშნავ გიორგი ხარაბაძე მეფე ბასილიოს. სცენაზე მისი სახით უმაღლესი რანგის ხელოვანი დგას, რომელსაც ხელეწიფება მაყურებლის ყურადღების მთლიანად დაპყრობა.

თითქოს ველასკესის ფრესკა გაცოცხლდაო — ისეთი გრძნობა გეუფლებათ, როცა სცენაზე გამოჩნდება ლილა ალიბეგაშვილი-ესტრელია. მასში იშვიათად გარეგნობას ერწყმის ბრწყინვალე პლასტიკა, სცენური აზროვნება და ტემპერამენტი.

ემოციურად და დამაჯერებლად თამაშობს ახალგაზრდა მსახიობი ზაზა პაპუაშვილი, თუმცა გვეჩვენება, რომ სეხისმუნდოს როლს საბოლოო კონდიციამდე რაღაც აკლია, ამაში ალბათ ისიც უშლის ხელს, რომ ეს როლი რუსთაველელთა სპექტაკლში პირველად ზურაბ ყიფშიძემ ითამაშა, ძალაუნებურად ფიქრობ და წარმოიდგენ ამა თუ იმ სცენაში როგორი იქნებოდა ყიფშიძე, თითქოს იგი ამ როლისთვისაა დაბადებული და სხვა მსახიობს როგორღაც „ძნელად" იღებ.

საინტერესოდ ასრულებენ თავიანთ როლებს ავთანდილ მახარაძე — კლოტალდო, დავით პაპუაშვილი — კლარინი, ნატო მურვანიძე — როსაურა და სხვები.

ორიგინალურობით გამოირჩევა მუსიკალური გაფორმება (ჯგუფი „ადიო"), ვერ გრძნობ როდის შემოდის მუსიკა სპექტაკლში, ისე უბრალოდ ნაკადულის რაკრაკით და ნიავის შემოქროლებასავით ბუნებრივად იბადება. რეჟისორის ჭეშმარიტად ღირსეულ თანამოაზრეებად გვევლინებიან მხატვრები გოგი ალექსი-მესხიშვილი და მირიან შველიძე.

გიორგი ლალიაშვილი.

⊙

სურათებზე: სცენები სპექტაკლიდან „ცხოვრება სიზმარია". **იური რიდალიოვის ფოტო.**

ხსოვნა

ლუდვიგ ქირია

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემას კიდევ ერთი გამრჯე მუშაკი გამოაკლდა. გარდაიცვალა ზუგდიდის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ლუდვიგ ვასილის ძე ქირია.

ლ. ქირია დაიბადა 1928 წელს ზუგდიდის რაიონში. დაამთავრა ორი უმაღლესი სასწავლებელი — სახელმწიფო პედაგოგიური და სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტები. საფუძვლიანი ცოდნით შეიარაღებული შეუდგა შრომით საქმიანობას. მას იცნობდნენ როგორც ენერგიულ, პრინციპულ და შრომისმოყვარე ადამიანს. როგორც გამოცდილ, უნარიან მეურნეს მას გაუწიეს რეკომენდაცია ზუგდიდის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობაზე, სადაც 1988 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გააკეთა ზუგდიდის რაიონის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესებისათვის, დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის.

ჩინებული მეურნის, კარგი მეოჯახის, შესანიშნავი მეგობრის ლ. ქირიას სახელი მუდამ დარჩება მისი ახლობლების, მეგობრების, თანამშრომლების გულში.

ცეკავშირის საბჭო, ცეკავშირის გამგეობა.

ვიანორ კოკაია

საკუთარ სამშობლოში ლტოლვილის სასტიკმა ბედმა და სოხუმის უსაზღვრო ნოსტალგიამ უეცრად შეიწირა შესანიშნავი მამულიშვილის ვიანორ კოკაიას სიცოცხლე.

დაიბადა 1925 წელს ქართული მეთამბაქოეობის ერთ-ერთი ფუძემდებლის მიხეილ კოკაიას ოჯახში. ქ. სოხუმის საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდგომ იგი სპეციალობით მუშაობდა გულრიფშში, ახალ ათონსა და გაგრაში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე, მერე — პარტიულ სამუშაოზე. იყო გალის რაიკომის პირველი მდივანი, სოხუმის რაიონის, სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი. სიცოცხლის ბოლო ათწლეულში იგი მუშაობდა გულრიფშის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარედ, აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილედ, ექსპერიმენტული მეურნეობის დირექტორად.

ლტოლვილობის დროსაც, საქართველოს სოფლის მეურნეობის დამსახურებულ მოღვაწეს, მრავალი ორდენითა და მედლით დაჯილდოებულ, იმჟამინდელი უმაღლესი საბჭოს არაერთგზის დეპუტატს, უკვე პენსიაზე მყოფ ვ. კოკაიას თავისი წვლილი შეჰქონდა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღორძინებაში.

მარადისობაში გადასულ ვიანორ კოკაიას ნათელ საქმეებსა და ხსოვნას არასდროს დაივიწყებენ მისი თანამემამულენი, ნათესავები და მეგობრები.

მეგობრების ჯგუფი.

თბილისის მე-6 ქართული გიმნაზიის ინიციატივითა და გერმანიის საელჩოს მხარდაჭერით ა. წ. 16 აპრილს, 15 საათზე, თბილისის მე-6 ქართული გიმნაზიის შენობაში (პეტრიაშვილის ქ. № 7), გაიმართება სრულიად საქართველოს გერმანული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა და გერმანისტთა კავშირის დამფუძნებელი კრება. კრებაზე ვიწვევთ ყველა დაინტერესებულ პირს.

დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ: 29-37-75.

ცხოვრების უღელი

—ნამუსიანად

ბუნებამ მას სიმღერის ნიჭი უბოძა. მღეროდა ბავშვობიდან. ერთხელაც, სოფლის თანატოლებთან ერთად ტყეს რომ მიაშურა, ამღერდა, ჩიტებმაც ხმა გაკმინდეს — სმენად იქცნენ. ჩიტები რაა, ყმაწვილის მომსმენი ტყის სიღრმეში მოფუსფუსე ერთი უცხო კაცი შეიქნა. შედგა. ყურსუკან ხელი მიიდო, ჩანდა, მოეწონა და ნელი ნაბიჯით ხმისკენ გაემართა. მის დანახვაზე ყმაწვილი შეკრთა, დაიმორცხვა და სიმღერა შეწყვიტა.

— განაგრძე, ჩინებული ხმა გაქვს... სახელი შენი?

— შოთა მქვია, ვეშაგური ვარ, აჭაური, ახატნელი.

— სახელიც კარგი გქონია და გვარიც, ხმაც მშვენიერი. თქვენს სოფელში ვისვენებ ოჯახით, მომენატრა ტყეში გავლა. შენმა ხმამ სიყმაწვილე მომაგონა...

ის „უცხო კაცი" ცნობილი მომღერალი დავით ბადრიძე იყო.

ამ მადლიანი კაცის ხელშეწყობით თბილისის კონსერვატორიასთან არსებულ მუსიკალურ ათწლედში მოხვდა. სწავლობდა და ათწლედი ისეთ მომავალ სცენის ვარსკვლავებთან ერთად დაამთავრა, როგორიც არიან ლამარა ჭყონია, თენგიზ ზაალიშვილი... ვინ იცის, იქნებ ერთ ვარსკვლავად შოთა ვეშაგურიც შემატოდა ერს. ბუნებამ ნიჭი კი უბოძა, მაგრამ ბედი არ სწყალობდა — უჭირდა ობოლს — ერთი წლისას ჩვიდმეტი წლის დედა გარდაეცვალა, დედის აღმზრდელ ბებიის დას — კატოს უპატრონებია და უზრდია.

მალე ჯარმაც უწია. უფრო — გულმა გაუწია ჯარისკენ.

პირნათლად მოიხადა სამხედრო მოვალეობა, ოფიცრის წოდებაც მიანიჭეს. დღეს იგი ავიაციის თადარიგის კაპიტანია.

1955 წელს დემობილიზებულ ხელმოკლე ახალგაზრდას უწინარესად საარსებო საშუალება უნდა ეძებნა და, აჰა, მოხვდა იგი პოლიგრაფიაში. დირექტორმა შალვა წიქწივაძემ შვილივით მიიღო სამსახურში, კვალიფიკაციას იმაღლებდა მოსკოვის სხვადასხვა სტამბაში.

ნიჭიერი ახალგაზრდა მალე დაეუფლა სპეციალობას. რესპუბლიკის უდიდესი გამომცემლობის „სამშობლოს" (დირექტორი ნოდარ ჯაველიძე) ყველა პერიოდულ გამოცემას ემსახურება თავის კოლეგებთან — რეპროცენტრის უფროს ვასიკო ქვათაძესთან, გურამ დვალთან, ანზორ სხირტლაძესთან, კოტე ხარატიშვილთან და... მეუღლე ლიზა მერაბიშვილთან ერთად.

ერთი პროფესიის, ერთი საქმის მსახური არიან ცოლ-ქმარი. ჭირიც ბევრი გადახდენიათ — თოთხმეტი წელიწადი ლოგინად ჩავარდნილი ჰყოლიათ სალად დაბადებული სულმნათი მარინა, ორი წლისას მენინგიტი რომ შეეყრია და ვერავითარ მკურნალობას ვერ უშველია.

ჰყავთ მეორე — მანანა ვეშაგური, რომლის მეუღლე — ნოდარ ხელუხაური დუშეთის რაიონის მილიციის საგამომძიებლო განყოფილების უფროსია. ერთი სიცოცხლეა ბებიისთვის და პაპისთვის შვილიშვილები — მაცაცო და ბესო. მაცაცო ზუსტად მაშინ დაბადებულა, როცა ბებია ლიზა ორმოცდაათის გამხდარა. მის პატივსაცემად შეარქვეს ბებოს სახელი — ლიზიკო.

ტოლები არიან ცოლ-ქმარი ვეშაგურები, ნამუსიანად ეწევიან ცოლ-ქმრობის უღელს. 37 წელია ერთად მუშაობენ გამომცემლობაში...

მკითხველო, ვერ ნახავთ გაზეთს, ჟურნალს, სხვა გამოცემას, ცოლ-ქმრისა და მათი კოლეგების ნახელავი ზედ რომ არ აჩნდეს — ილუსტრაცია ხომ უპირველესი სამკაულია გამოცემისა. ერთ ასეთ სამკაულსაც აქვე იხილავ — იუბილარ ცოლ-ქმარს თავიანთი მონაგარით ფოტოხელოვანმა ჯავარ ლომაძემ რომ გადაუღო.

ლადო დემეტრაძე.

„ოქროს ბიჭები"

როგორც სპორტის მოყვარულებმა იციან, ახლახან ქართველმა მკლავჭიდელებმა დიდი წარმატებით იასპარეზეს ლონდონში დასრულებულ ევროპის ჩემპიონატში და მეოთხე გუნდურ გამარჯვებასთან ერთად ცალკეულ წონით კატეგორიებში 8 უმაღლესი და 1 ბრინჯაოს ჯილდო მოიპოვეს.

ბრიტანულ სარბიელზე გამართული ორთაბრძოლების შესახებ გვესაუბრება ქვეყნის მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტი, ნაკრების მწვრთნელი და საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატი **ვახტანგ მუსელიანი:**

— კონტინენტის პროფესიონალ და მოყვარულ მკლავჭიდელთა ევროპის ფორუმში მონაწილეობა მიიღო ოცამდე სახელმწიფოს უძლიერესმა სპორტსმენებმა. ჩვენი ნაკრების 9 წევრიდან მხოლოდ მინდია ფიტვიაშვილი გახლდათ ახალბედა და მისი დებიუტი მესამე საპრიზო ადგილით აღინიშნა. დასანანია, რომ ერთადერთი წაგება მას, უბრალოდ, წესის დარღვევისათვის ჩაუთვალეს.

ახლა კი მოკლედ წარმოგიდგენთ ევროპის წლევანდელ ქართველ ჩემპიონებს: 70 კგ — ლერი საღლიანი ერთი თავით მაღლა იდგა მოწინააღმდეგეებზე. 75 კგ — გელა ბეწუაშვილმა ტურნირის წინ წონაში დაიკლო და ვერ იყო ჩვეულ ფორმაში, ერთ-ერთ წინასწარ ეტაპზე დამარცხდა კიდეც ესპანელ მეტოქესთან, მაგრამ ფინალში მასვე უკომპრომისო პაექრობაში ზედიზედ ორჯერ სძლია. ჯიმი მერაბიშვილმა (80 კგ) და კობა თოდაძემ (85 კგ) კონკურენტებს არავითარი შანსი არ დაუტოვეს. 90 კგ — ერეკლე გურჩიანმა ფინალში რუსეთის წარმომადგენელი დაჯაბნა. 100 კგ — ზაზა გოგინიშვილმა თვით რუსი მსოფლიო ჩემპიონი ალექსანდრე კუზნეცოვი დაამარცხა. 110 კგ — დათო ჭელიძის პირველი ევროპული „ოქრო" მით უფრო ფასობს, რომ მან გზიდან ჩამოიცილა ამავე ტიტულის 1991 და 1992 წლების მფლობელები — გერმანელი და შვედი ათლეტები. მძიმე წონა — ხელის მტევნის ტრავმის მიუხედავად, ზაურ ცხადაძე ფინალში უშეღავათო დავაში გაუსწორდა ინგლისელ მსოფლიო ვიცე-ჩემპიონს და მეოთხედ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

ევროპის ჩემპიონები გახდნენ აგრეთვე ესპანეთის 2 (60 და 65 კგ) და ისრაელისა (50 კგ) და რუსეთის (55 კგ) — თითო-თითო მკლავჭიდელი.

როგორც ყოველთვის, ბრწყინვალედ იმსაჯა საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა ირაკლი შაიშმელაშვილმა.

საქართველოს მკლავჭიდის ფედერაცია მადლობას უხდის რესპუბლიკის პრემიერს ბატონ **თენგიზ სიგუას**, სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ **კახი ასათიანს**, ფედერაციის გენერალურ სპონსორს — ფირმა „**ბაახს**", ბატონ **ავთანდილ საყვარელიძეს** და ოფიციალურ სპონსორს — ბატონ **ზურაბ კვანტრიშვილს**, რომლებმაც გუნდს ფინანსური პრობლემები გადაუჭრეს. ნაკრებისათვის გაწეული დიდი დახმარებისათვის მადლიერების გრძნობით გვსურს მოვიხსენიოთ ბატონი **გივი მაისურაძე**.

„ავაზას" ნახტომი

ფეხბურთი. თბილისის „ავაზას" ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდი (მწვრთნელი — მალხაზ კოღუაშვილი) „დალასის თასით" ბრუნდება სამშობლოში.

ფინალში ჩვენმა გუნდმა სძლია მექსიკის „მონტერეის" — 2:0 და რევანში აიღო მასთან ჯგუფურ ტურში განცდილი მარცხისათვის.

ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი 10 გატანილი გოლით გახდა ალექსანდრე იაშვილი („ავაზა").

ქართველ ჭაბუკთა ამერიკული ვოიაჟი შესაძლებელი გახდა ფეხბურთის გულშემატკივართა კლუბის პრეზიდენტის ლევან ახვლედიანის შემწეობითა და ძალისხმევით.

ხიდი

მეცნიერი— მეცნიერს

ჩვენი საზოგადოებრიობა კარგად იცნობს მხცოვან მეცნიერს, პროფესორ იოსებ მეგრელიძეს, რომელსაც რამდენიმე ათეული წელია მიმოწერა აქვს საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ და ჩვენი კულტურით დაინტერესებულ უცხოელ მკვლევარებთან.

აღსანიშნავია, რომ ამ ურთიერთობის ნაყოფია ბატონ იოსებ მეგრელიძის მონოგრაფია „ექვთიმე თაყაიშვილი", რომელიც ამჟამად სახელმწიფო პრემიაზეა წარდგენილი.

პროფესორ იოსებ მეგრელიძის მისამართზე კვლავ მრავალი წერილი და მილოცვა მოდის ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან თუ საზღვარგარეთის ქვეყნებიდან. სულ ახლახან მან კარლსბადიდან მიიღო ცნობილი ისტორიკოს-არქეოლოგის ვახტანგ ჯობაძის წერილი, რომელიც ოთხ ათეულ წელზე მეტია, უცხოეთში ცხოვრობს. იგი ატყობინებს, რომ გერმანიაში გამოეცემათ მისი მონოგრაფია ტაო-კლარჯეთის მონასტრების შესახებ.

ამ დღეებში ბატონმა იოსებმა თავისი მეგობრის, ცნობილი ოსი მეცნიერის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, პროფესორ ვასილ აბაევის წერილი მიიღო. იგი თავის ბარათს ასეთი სიტყვებით ამთავრებს: „დაე, საქართველოში და ოსეთში დამყარდეს ყველა ადამიანისთვის სანუკვარი მშვიდობა".

სავიზიტო

ბარათი ერთ დღეში!

თქვენ მიბრძანდებით საზღვარგარეთ — გჭირდებათ სავიზიტო ბარათი.

ახალი საქმე წამოიწყეთ — უნდა შეატყობინოთ სხვებს.

გახსენით ფირმა — მის შესახებ უნდა გააგებინოთ საზოგადოებას.

ყველა სიტუაციაში გჭირდებათ სავიზიტო ბარათი.

სარეკლამო სააგენტო „მი-მი-ნო" გთავაზობთ ამერიკულ ქაღალდზე, ამერიკულ დანადგარზე დამზადებულ სავიზიტო ბარათებს, რომელთა შესრულების ვადაა სულ 24 საათი!

ჩვენი მისამართია: ლესელიძის ქ. № 20.

სარეკლამო სააგენტო „მი-მი-ნო".

საწარმოთა ხელახალი სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ

საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა საყურადღებოდ!

„**საქართველოს** რესპუბლიკის ტერიტორიაზე საწარმოს (ქვესაწარმოს, ფილიალის, წარმომადგენლობის) სახელმწიფო რეგისტრაციის წესის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 30 ივლისის № 774 დადგენილებით 1992 წლის ბოლომდე უნდა დაზუსტებულიყო (განმეორებითი რეგისტრაციის გზით) იმ საწარმოების (მ. შ. კოოპერატივების) ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონით გაუთვალისწინებელი სამართლებრივი ფორმით.

„საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის პირველი კვარტლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 30 დეკემბრის № 1167 დადგენილებით ზემოაღნიშნული ვადა გაგრძელდა 1993 წლის 1 ივლისამდე.

საწარმოები, რომლებიც აღნიშნული პერიოდისათვის დადგენილი წესის მიხედვით არ გაივლიან ხელახალ რეგისტრაციას, ჩაითვლებიან არარეგისტრირებულ-უკანონო საწარმოებად და მათ მიმართ გამოყენებული იქნება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები.

უჩვენებს თბილისი

ოთხშაბათი

14 აპრილი

7.25 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 7.30 — **ალიონი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.00 — **ნაშუადღევი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 17.00 — **ვესტნიკი** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — მხატვრული ფილმი. 18.25 — გაზაფხული გვიხმობს. 18.55 — ანძა — ტელემარკეტინგი. 19.05. — **ბალავერი — გადაცემა ეძღვნება ქართული ენის დღეს.** 19.35 — საფეხბურთო მიმოხილვა. 20.00 — რეკლამა. 20.05 — **მაცნე.** — საინფორმაციო პროგრამა 20.45 — **„ესე ენაი შემკული და კურთხეული".** 21.20 — საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში (ფინალური ჯგუფი. ვაჟები). 22.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 22.15 — ვიდეო... ვიდეო... 23.45 — **ქვიშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

ხუთშაბათი

15 აპრილი

7.25 — ბასტი-ბუბუს აერობიკა.. 7.30 — **გამარჯობა საქართველო!** — საინფორმაციო-შემეცნებითი პროგრამა. 13.00 — **ნაშუადღევი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.45 — ანძა — ტელემარკეტინგი. 17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — მხატვრული ფილმი. 18.30 — მხატვრის სახელოსნოში. 19.15 — განცხადებები. 19.20 — რამპა. 19.25 — ზრუნვა. 19.55 რეკლამა. 20.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 20.40 — საქველმოქმედო ფონდი „ანტინარკომანია". 20.55 — გალაკონცერტი. 22.00 — **მაცნე.** — საინფორმაციო პროგრამა. 22.15 — მრავალსახეობა ეკრანისა — კინოარხი — დოკუმენტური ფილმი „კუკო და კარლი". 22.50 — საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში (ფინალური ჯგუფი. ვაჟები). 23.40 — **ქვიშის საათი.** — საინფორმაციო პროგრამა. 23.55 — მუსიკალური ექსტაზი.



პარასკევი

16 აპრილი

7.25 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 7.30 — **ალიონი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.00 — **ნაშუადღევი.** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 17.00 — **ვესტნიკი** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 მხატვრული ფილმი. 18.45 — განცხადებები. 18.50 ცხელ კვალზე. 19.05 — ანძა — ტელემარკეტინგი. 19.15 — ხალხური შემოქმედების მომავალი. 19.40 — ქართული მულტიპლიკაციური ფილმი. 19.55—რეკლამა. 20.00 — **მაცნე.**— საინფორმაციო პროგრამა. 20.40 — **პოლიტიკა.** 21.20 — პატარა ამბები დიდ თემებზე. 22.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 22.15 — მუსიკალური გადაცემა — „პროგრამის დასასრულს". 23.45 — **ქვიშის საათი**— საინფორმაციო პროგრამა. 24.00 — მუსიკალური გადაცემა „პროგრამის დასასრულს" (გაგრძელება).

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისაგან

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია თავისი წესდების მე-19 და მე-20 მუხლების შესაბამისად აცხადებს ვაკანსიებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) ასარჩევად შემდეგ სპეციალობათა მიხედვით:

სპეციალობა	ვაკანსიები
მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	
მათემატიკა	— 3
ფიზიკა	— 3
დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება	
გეოლოგია	— 1
გეოგრაფია, ჰიდროლოგია	— 1.
გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება	
მანქანათმშენებლობა, გამოყენებითი მექანიკა	— 1
მართვის პროცესები	— 2
ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილება	
ქიმია, ფარმაკოქიმია	— 6
მეტალურგია	— 1
ბიოლოგიის განყოფილება	
ბიოლოგია	— 2
ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილება	
ფიზიოლოგია და ექსპერიმენტული მედიცინა	— 3
სოფლის მეურნეობის მეცნიერების პრობლემათა განყოფილება	
აგროეკოსისტემების მდგრადობა	— 3
საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	
ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია-ანთროპოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა	— 5
ფილოსოფია, ფსიქოლოგია	— 2
ენისა და ლიტერატურის განყოფილება	
ფილოლოგია	— 1
მწერალი-აკადემიკოსი	— 1

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებად შეიძლება არჩეულ იქნენ მეცნიერები, რომლებმაც ფუნდამენტური წვლილი შეიტანეს მეცნიერების განვითარებაში.

მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებს, სამეცნიერო დაწესებულებებს, უმაღლეს სასწავლებლებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უფლება აქვთ წამოაყენონ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსობის კანდიდატები აღნიშნულ სპეციალობათა მიხედვით. სამეცნიერო დაწესებულებებმა, უმაღლესმა სასწავლებლებმა, სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა კანდიდატები უნდა წამოაყენონ ფარული კენჭისყრით ხმების უმრავლესობით.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსობის კანდიდატთა გვარები სათანადო დასაბუთებით წერილობით ეცნობება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას ერთი თვის განმავლობაში ცნობის გამოქვეყნების დღიდან.

მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსობის კანდიდატების დასახელებისას აუცილებელია შემდეგი საბუთების წარმოდგენა (ორ ცალად): სამეცნიერო საბჭოს, სახელმწიფო დაწესებულების წარდგენა ან წერილი სათანადო დასაბუთებით კანდიდატის წამოყენების შესახებ, კანდიდატის ავტობიოგრაფია, კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, სამეცნიერო შრომების სია, სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასება და ფოტოსურათი 4X6 სმ ზომისა.

აღნიშნული მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: 380008, თბილისი 8, რუსთაველის პროსპექტი 52, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

ა. თავხელიძე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი

ლ. გაბუნია.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

ინდექსი 66434